წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

დღიური
— უმუშევართა დიდი გამოსვლა ვარშავაში. სვლები ბერლინსა და
— რეპრესიების გაძლიერება გერმანიაში. [illegible] წინასწარი (ცენზურა) „როტე ფანე"-ს [illegible] მოცემებზე.
— რომენ როლანის წერილი.
— საბჭოთა მწერალ ქალების მიმართვა მსოფლიოს მშრომელ ქალებისადმი.

კვირა, 3 აპრილი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 78 (3332) ფასი 5 კაპ.

მხურვალე სალამი სრ. საქ. პროფკავშირთა VIII ყრილობას

პროფკავშირების მუშაობა უმაღლეს საფეხურზე

დღეს იხსნება სრულიად საქართველოს პროფესიონალური კავშირთა მერვე ყრილობა. სამმა წელმა განვლო საქართველოს პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობის შემდეგ. ამ დროის მანძილზე სოციალისტურ მშენებლობაში უდიდესი წარმატებებს მივაღწიეთ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პროფესიონალური კავშირების მუშაობაშიაც. განვლილი პერიოდი იყო ხუთწლედისათვის დიადი ბრძოლის სახელოვანი სამი წელი. იმ გმირული ბრძოლის შედეგათ, რომელსაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი აწარმოებდა წარსული სამი წლის განმავლობაში ჩვენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობის ქვეყნის მოწინავე ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გარდაქმნის გზით. ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. ლენინის მიერ დასმული პრობლემა „ვინ-ვის" საბჭოთა კავშირის შიგნით უკვე გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოთ.

თავისთავად ცხადია, რომ ამ უდიდეს წარმატებებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის ავანგარდი — კომუნისტური პარტია ემყარებოდა პროფესიონალურ კავშირებს, როგორც მუშათა კლასის მასიურ ორგანიზაციებს. მაგრამ სოციალიზმის მშენებლობის ზრდის სიძნელეებით გამოწვეულ მერყეობამ, მემარჯვენე ოპორტუნისტულ პერსპექტივობამ და „მემარცხენე" სინდიკალისტურ წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს პროფესიონალური კავშირების მუშაობის ზოგიერთ რგოლებშიც და ხელმძღვანელ აპარატში. დროზე იქნა შენიშნული პარტიის მიერ, აგრეთვე პროფკავშირების ხელმძღვანელობის საუკეთესო, ლენინური ნაწილის მიერ. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმს დაუზოგავი ბრძოლა გამოეცხადა, გაცხოველებული ბრძოლა გაიშალა შეცდომების გამოსასწორებლად.

ასეთი იყო მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, ხოლო კერძოდ საქართველოში რამდენიმედ სხვა სურათი გვქონდა იმ მხრით, რომ აქ ოპორტუნისტული შეცდომები, ტრედიუნიონიზმის პრაქტიკა გასავალს პოულობდა პროფკავშირების მუშაობაში მას შემდეგაც კი, რაც საბჭოთა კავშირში შეცდომები აღმოფხვრილ იქნა. და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ძველი პარტიული ხელმძღვანელობის უხეირო მუშაობა პროფკავშირების ხაზითაც.

უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა შეიცვალა. განახლებულ იქნა პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელობა საქართველოში. მიღებულ იქნა მთელი რიგი გადამწყვეტი ზომები, პროფესიონალური კავშირების მუშაობის გარდაქმნისათვის სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანებთან შეფარდებით, ამოცანებთან, რომელთაც საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობა შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„პროფკავშირების მუშაობის სიმძიმე უნდა გადატანილ იქნას მათი დაბლა საფეხურის პირველ უჯრედებში — დამკვრელ ბრიგადაში, ჯგუფში, ცეხში, სამქროში, საწარმოში... სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელი ბრიგადები უნდა გახდეს პროფკავშირებს მთელი საწარმოო მუშაობის საფუძველი საწარმოებში და სამქროებში".

ამრიგად, მართალია, გარდატეხა უკვე გვაქვს, მაგრამ ის ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი არ არის, რომ შეგვეძლოს განვაცხადოთ, საქართველოს პროფკავშირები მობრუნდნენ მთლიანად პირით წარმოებისაკენო. ამას ნათლად მოწმობს უკანასკნელ ხანებში ჩატარებული საკოლმეურნეო შეკრულებათა კამპანიაც, რომლის დროსაც პროფესიონალურ კავშირებმა ბევრ შემთხვევაში ვერ შესძლეს პროფკავშირული მასის ყურადღების მობილიზაცია საწარმოო საკითხების ირგვლივ, მათ ვერ შესძლეს მთლიანად იმ მდგომარეობის საქმათ გამოყენება, რომ „მუშები ჩვენში მუშაობენ არა კაპიტალისტების, არამედ საკუთარი სახელმწიფოს სასარგებლოთ, თავისი საკუთარი კლასის სასარგებლოთ, რისი შეგნებაც წარმოადგენს უძლიერეს მამოძრავებელ ძალას ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და შემდგომი გაუმჯობესების საქმეში" (სტალინი).

ამიტომ ბრძოლა პროფესიონალური კავშირების წარმოებისაკენ საბოლოოდ პირით მობრუნებისათვის ჯერ კიდევ რჩება გადაუდებელ მთავარ ამოცანად. საქართველოს პროფკავშირებისათვის ეს ამოცანა ნიშნავს პირველყოვლისა მთელი ძალღონის დაძაბვას საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების მხრივ არსებულ ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის. მერვე ყრილობის დღის წესრიგში განსაკუთრებით სდგას საკითხი სახალხო მეურნეობის 1931 წლის გეგმის შესრულების შედეგებისა და 1932 წლის ამოცანების შესახებ. პროფესიონალური კავშირები მოვალენი არიან მთელი სიცხადით გამოაშკარაონ საწარმოო - საფინანსო გეგმათა შეუსრულებლობის მიზეზები თავიანთი ხაზით და აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გააკეთონ. სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-8 ყრილობის მთავარი ყურადღებაც საწარმოო საკითხებისაკენ იქნება მიმართული.

საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის საკითხთან მჭიდრო კავშირი აქვს მუშათა მომარაგების საქმეს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ყრილობა ამ საკითხს განცალკევებით აყენებს თავისი მუშაობის დღის წესრიგში. მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს მუშათა მომარაგების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის დარგში, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მომარაგების სწრაფი გაუმჯობესება შესაძლებელია საქონლის ბრუნვის ფართოდ გაშლით. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-17 პარტკონფერენციის რეზოლუციაში ამის შესახებ ნათქვამია: „მხოლოდ საქონლის ბრუნვის გაშლის საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა და სოფლის მშრომელთა სამრეწველო საქონლით და სოფლის ნაწარმოებით მომარაგების შემდგომი სწრაფი გაუმჯობესება".

ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ გადაუხალისებიათ თავიანთი მუშაობა. ბიუროკრატიზმის ელემენტები, მოუქნელობა საქონლის უაზროთ დაგროვება, გათანაბრება — აი რა ახასიათებს ზოგადად მომარაგების ზოგიერთი ორგანოების მუშაობას. რას, თუ არა ამას, უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ 1932 წლის 1 იანვრისათვის ცეკავშირის სისტემაში შემავალი წერტების საქონლის ნაშთი უდრიდა 22 მილიონ მანეთს, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევ 13 მილიონი მანეთის საქონლისა. რას, თუ არა სავაჭრო აპარატის მუშაობის დეფექტებს, უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ მთელმა რიგმა კოოპერატიულმა გაერთიანებებმა ფასების კომიტეტის დადგენილება, რომელიც შეეხებოდა ზოგიერთ საქონელზე ფასების ნაწილობრივ გადიდებას, გამოიყენეს ფასების ხელოვნურად გაბერვისათვის. ასე მაგალითად, ლობიოს ფასი გაადიდეს 25 პროცენტით, ხორცის — 55,4 პროცენტით, ჩაის — 28,2 პროც. და სხვ. აქედან ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ „ჯერ კიდევ არაა თუ არ აღმოფხვრილა ნეპმანური სული და ბიუროკრატიული ელემენტები სავაჭრო კოოპერატიულ აპარატში, არამედ უკანასკნელ ხანებში ახალი სახით გამომჟღავნდა ნეპმანური სულის გამოსახულება, რაც მდგომარეობს მომხმარებელზე ნამდვილი მზრუნველობის მოუგვარებლობაში, ფასების პოლიტიკის უხეშ დარღვევაში, კომერციულ ვაჭრობით გატაცებაში და დიდი მოგების მიზნით ფასების გაბერვაში" (საკავშ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან).

პროფესიონალურ კავშირებს მუშათა მომარაგების საქმის მოწესრიგებაში უაღრესად დიდი ადგილი უკავიათ. მუშათა კონტროლის გაძლიერება მომარაგების საქმეზე, დახურულ განმანაწილებელთა მუშაობის გაფართოება და უფრო გაჯანსაღება გათანაბრების მოსპობა მომარაგების საქმეში, შრომის ენტუზიასტთა, დამკვრელ მუშებისა და ბრიგადების პირველ რიგში და საუკეთესოდ მომარაგება — აი, რისთვის უნდა იბრძოდეს პროფესიონალური კავშირების თვითეული ადგილობრივი ორგანიზაცია.

სრულიად საქართველოს პროფესიონალური კავშირების მე-8 ყრილობა ყველა ამ საკითხების გადაჭრის საქმეში ადგილობრივ ორგანიზაციებს მისცემს გარკვეულ დირექტივებს. სრულიად საქართველოს პროფესიონალური კავშირების ყრილობა გადაიქცევა ახალ მნიშვნელოვან საფეხურად საქართველოს პროფკავშირების შემდგომ მუშაობაში სოციალიზმის მშენებლობის დიად და საპასუხისმგებლო ფრონტზე.

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მერვე ყრილობას.

„საქ. ნავთის" მარტის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

თბილისი—„კომუნისტი"-ს რედაქციას

„საქართველოს ნავთის" სარეწაოებზე ბურღვის გეგმა მარტში შესრულდა 113 პროც-ით. კვარტალური გეგმა შესრულებულია 98 პროც. ამოღებულია 1.000 ტონამდე ნავთი. ექსპლოატაციაში გადაყვანილია ექვსი ჭაბურღილი. ხოლ ამჟამად იბურღება 21 ჭაბურღილი. საგრძნობლად შემცირდა, წარსულ წელთან შედარებით, ბურღვის თვითღირებულება. ამუშავდა მცირე ძალოვანების ნავთსახდელი ქარხანა. ძირითადი დაბრკოლებაა — გზების და ტრანსპორტის უქონლობა და ცუდი მომარაგება.

„საქ. ნავთი" — ქლინტი
რაიკომის მდივანი — მალანი

დუნაის ფედერაციის გეგმების გარშემო

გერმანიის დიპლომატიის მარცხი

რომი, 1 აპრილი. იტალიის პრესის ცნობით, ტარდიემ ორი დღით გადასდო ლონდონში გამგზავრება, რომ ჩაეშალა მაკდონალდის წინადადებით მოწვეული ოთხი სახელმწიფოს კონფერენცია. ტარდიეს განზრახული აქვს გამართოს მაკდონალდთან წინასწარი მოლაპარაკება, რომ შექმნას ინგლის-საფრანგეთის ბლოკი დუნაის კონფერენციის საკითხში (ადს).

პარიზი, 1 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით დუნაის ფედერაციის საკითხთან დაკავშირებით ლონდონში მოწვეული ოთხ სახელმწიფოს კონფერენცია შედგება მომავალ კვირაში.

მოსკოვი, 1 აპრილი. „იზვესტია"-ს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება:

„პირობები, რომელშიც იკრიბება ოთხი სახელმწიფოს კონფერენცია დუნაის ფედერაციის საკითხის განსახილველად, აიძულებენ გერმანიის პოლიტიკურ წრეებს აღიარონ, რომ საფრანგეთის დიპლომატიამ აქაც თავისი გაიტანა. მთავრობის წრეები უაღრესი უკმაყოფილებით აღიარებენ, რომ ნაცვლად დუნაის ფედერაციის ერთად განხილვისა ოთხ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, რასაც მიზნად ისახავდნენ გერმანია და იტალია, ტარდიემ მოახერხა ცალკე შეხვედრა მაკდონალდთან (შეხვედრა მოხდება 4 აპრილს). ტარდიე ცდილობს გამოიყენოს ეს შეხვედრა იმისათვის, რომ წინასწარ უზრუნველჰყოს დუნაის ფედერაციის გეგმის განხორციელება საფრანგეთის სურვილების მიხედვით.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ტარდიეს საუბარში მაკდონალდთან მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა მინისტრი ნევილ ჩემბერლენი და საგარეო საქმეთა მინისტრი საიმონი. ეს ცნობა ხაზავს ახლიდან გერ. გაზეთებს ეშინიათ, რომ ამ მოლაპარაკების დროს განხილული იქნება აგრეთვე საერთაშორისო ვალების საკითხი. ბრიუნინგის ცდა—ხელი შეეშალა ტარდიეს ცდებისათვის განცხადებით, რომ ისიც მზად არის ამ კვირის დამლევს ჩავიდეს ლონდონში, უშედეგოდ დამთავრდა. ტარდიემ არა ორაზროვნად აგრძნობინა ბრიუნინგს, რომ მისების პირისპირ შეხვედრას ინგლისის მოლაყბეებს.

ამის შემდეგ, რაც საფრანგეთის პარტნერები მომავალ კონფერენციაზე შეიკრიბნენ წინასწარ შეხვედრას ტარდიესთან, საფრანგეთის პრემიერმა მიმართა მეორე ხერხს, რომელიც არანაკლები წარმატებით დამთავრდა. ტარდიემ განაცხადა, რომ მაკდონალდთან შეხვედრის შემდეგ ის დაუყოვნებლივ დაბრუნდება პარიზში და ამით ოთხ სახელმწიფოს მომავალი კონფერენცია მან არსებითად არარაობამდე დაიყვანა. პრესტიჟის საკითხის მოსაზრებებით, კონფერენცია მაინც შედგება მომავალ კვირაში, მაგრამ უკვე არა პრემიერების, არამედ მათი მოადგილეების მონაწილეობით. საფრანგეთი წარმოდგენილი იქნება ფლანდენით, გერმანია—ბიულოვით, იტალია, როგორც წინასწარ იყო გათვალისწინებული,—გრანდით. ყველაფერი ეს ხაზავს ახლიდან გერმანიის წრეებს მიუთითონ ინგლისის პოლიტიკის სიხისტეზე საფრანგეთის მიმართ. ეს წრეები იმედგაცრუებული აღნიშნავენ, რომ ინგლისი, რომელსაც შეეძლო ეთამაშნა საფრანგეთის დიქტატურის საწინააღმდეგო ძალის როლი ევროპაში, გადამწყვეტ მომენტში დათმობის გზას ადგება. რამდენადაც მოვლენებმა ამგვარი ხასიათი მიიღო, გერმანიის წრეები ყოველმხრივ ცდილობენ შეასუსტონ ტარდიეს ლონდონში გამგზავრების მნიშვნელობა. ოფიციოზური „დოიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენც" აცხადებს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მოღვაწეთა შეხვედრას დიდი შედეგები არ ექნება"-ო. (ადს).

უმუშევრები მოითხოვენ პურს და სამუშაოს

უმუშევართა დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 1 აპრილი. ქალაქის საქველმოქმედო დაწესებულებაში, რომელიც ბერლინის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში იმყოფება, ადგილი ჰქონდა უმუშევართა დიდ მღელვარებას. ეს დაწესებულება უმნიშვნელო დახმარებას (უმთავრესად ნატურით) უწევს მუდმივ დახმარებას მოკლებულ უმუშევრებს.

რამდენიმე ათასი უმუშევარი, მრავალი საათის განმავლობაში იდგა ქუჩაში დახმარების მოლოდინში, მაგრამ თითქმის ყველა მათგანს უარი უთხრეს. მიუხედავათ ამისა, უმუშევრები განაგრძობდნენ ლოდინს საქველმოქმედო დაწესებულების შენობის წინ და შეეცადნენ შესულიყვნენ შენობაში. გამოძახებული პოლიცია შეეცადა გაერეკა უმუშევრები.

რამდენიმე საათის განმავლობაში ახლო მდებარე რაიონებში გრძელდებოდა უმუშევართა დემონსტრაციები (ადს).

უმუშევართა დემონსტრაციები ვარშავაში

ვარშავა, 1 აპრილი. ვარშავის ცენტრში ადგილი ჰქონდა დრამატიზმით აღსავსე სცენებს. მთელი თეატრალური მოედანი და ახლომდებარე ქუჩები გაჭედილი იყო უმუშევარი დემონსტრანტებით. ქვეითმა პოლიციამ ვერ შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა. დემონსტრანტების ნაწილმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. რამდენიმე პოლიციელს ხელიდან ზოგიერთი ხიშ. ფანჯ. ჩამტვრეულია. რამდენიმე ასეული კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები, დაწვნენ ქვაფენილზე და ტრამვაის რელსებზე და სრულიად შეაჩერეს მიმოსვლა. ცხენოსანი პოლიცია შეუტია დემონსტრანტთა რიგებს. გამოიწვიეს სპეციალური ჯავშნიანი ავტომობილები სახანძრო მოწყობილობით და დემონსტრანტებს ცივი წყალი მიასხეს. შეტაკება ერთ საათზე მეტს გაგრძელდა. უმუშევართა შორის ვრცელდებოდა დიდძალი კომუნისტური მოწოდებები. პოლიციამ დააპატიმრა 90 კაცზე მეტი (ადს).

როლანის წერილი

„როცა ცხოვრებას ობი მოსდებია და ის მასში სულს ლაფავს, საჭიროა შიშის მჭრელი, ცული, საჭიროა რევოლიუციები"

მოსკოვი, 1 აპრილი. „ალქვინის მიახლოების გამო „ჩრდილოეთის ზარზმაბლოების პრესბიურომ" მიმართა „კაცობრიობის თითქმის ყველაზე მეტად ცნობილ სულიერ მოღვაწეებს" თხოვნით გამოთქვან თავიანთი აზრი საკითხზე „მსოფლიო კულტურის გადარჩენის შესახებ, რომელიც სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა ომმა და კრიზისმა". საპასუხო წერილში რომენ როლანი სწერს:

„არსებობს წარსული, რომელიც შეუბრალებლად იჩენს. მან არ შეუძლია შეურიგდეს სიკვდილის აზრს. იგი ებღაუჭება მომავლის ფეხზე იმ ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის ხლართით, რომელთაც უკვე დაჰკარგა აზრი და მნიშვნელობა. იგი იხრჩობა ახალ გაზრდა ძალებსა და სიცოცხლეს. ისეთ მომენტებში, როცა მეცნიერება იხუთება და სულს ლაფავს ნარეკალში მომწყვდეული, საჭიროა შიშის მჭრელის ცული. საჭიროა რევოლიუციები. მე ვფიქრობ, რომ ევროპა ამ მომენტში, როცა არაჯანსაღი, მომაკვდავი წარსული გაცხარებით იბრძვის სიკვდილის ნიშნების მატარებელი არსებობის გასახანგრძლივებლად, ეს რევოლიუცია საჭიროა იმისათვის, რომ გზა გაუკაფოს (გამოკვეთისმოდგამ)... დეე იმან, რაც იყო, გამოიჩინოს საკმაო გონიერება, ადგილი დაუთმოს იმას, რაც უნდა იყოს, რაც შესრულებულია ვადებში. უნდა ვირჩიოთ: ან მკვდარი ამ ცოცხალი, „მოკვდი ან აღორძინდი" (ადს).

საბჭოთა მწერალ ქალების მიმართვა

დასავლეთის მშრომელი ქალებისადმი

მოსკოვი, 1 აპრილი. „ლიტერატურნაია გაზეტა"-ში გამოქვეყნებულია საბჭოთა მწერალი ქალების მიმართვა დასავლეთის მშრომელი ქალებისადმი სეიფულინას, შაგინიანის, ქარავაევისა და დანარჩენების ხელის მოწერით:

„იმ დროს, როცა ბურჟუაზია ხარბად გამზადებულ მუშტს იმუქრის საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ,—ნათქვამია მიმართვაში,—იმ დროს, როცა იზრდება საომარი საფრთხე, ჩვენ, საბჭოთა კავშირის მწერალი ქალები, მოგმართავთ თქვენ, დასავლეთის მშრომელო ქალებო, მოსამსახურეებო და გლეხ-ქალებო. ვინ, თუ არა თქვენ, განიცდით და თავს გატყდებათ კაპიტალისტური წყობილების მთელი საშინელებანი. ვინ, თუ არა თქვენ, უნდა დაგვეხმაროთ ჩვენ, დაგვეხმაროთ მშვიდობიანობის შენარჩუნების ჩვენს ამოცანას. საბჭოთა კავშირის დასაცავად გამოსვლით თქვენ იცავთ თავიანთ საკუთარ თავს, იცავთ მთელ მუშათა კლასს, რომელსაც ეკუთვნის მომავალი. (ადს).

საქონლის ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტი

მოსკოვი, 2 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო აცხადებს:

1. გარდაიქმნას შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასების კომიტეტი საქონლის ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტად.

2. დაეკისროს კომიტეტს შემდეგი ამოცანების შესრულება:

ა) ფართო მოხმარების საქონლის ფონდების (სამრეწველო და სასურსათო ფონდების) განაწილება ქალაქისა და სოფლის ბაზრებისათვის, ექსპორტისათვის, აგრეთვე სხვა და სხვა მიზნობრივი დანიშნულებისათვის და, საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის წარდგენით, სავაჭრო სისტემების, რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით საქონლის ფონდების განაწილების გეგმების დამტკიცება.

ბ) იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ უწყებები და მოვაჭრე ორგანიზაციები (სახელმწიფო და კოოპერატიული) საქონლის ფონდების გამოყენების დაწესებულ გეგმებს, აგრეთვე იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებს მრეწველობა ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების გეგმებს.

გ) ვაჭრობის მოწესრიგების ძირითადი საკითხების გადაჭრა საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და კერძო ვაჭრების სპეკულიაციის ნაშთების ლიკვიდაციის ამოცანებთან შეფარდებით.

დ) იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც ეხება ფართო მოხმარების საგნების საბითუმო და საცალო ფასების დაწესებას სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ამ ფასების თანდათანი შემცირების მიმართულებით.

3. საქონლის ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტს ჰყავს თავისი რწმუნებულნი მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში.

4. საქონლის ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტი მოქმედებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებით და მის გადაწყვეტილებებს აქვთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალა (ადს).

დანიშვნები

მოსკოვი, 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საქონლის ფონდების და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი. მის პირველ მოადგილედ — ამხ. ა. ი. მიქოიანი, მეორე მოადგილედ — ე. ი. კვირინგი, კომიტეტის წევრად და მდივნად ამხ. მ. ა. ტერ-ვაზარიანი. (ადს)

ახალი ბრწყინვალე გამარჯვება ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე

კუზნეცკი, 1 აპრილი. ურალ-კუზნეცკის კომბინატის მშენებლობის ფრონტზე მოიპოვებულია ახალი ბრწყინვალე გამარჯვება. 1 აპრილს 3 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით ანთებულია კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის პირველი ბ[illegible],

ყუნებულია მეტალურგიული ტექნიკის ყველა უახლოესი მიღწევები.

პირველი ბრწყინვალე საფუძველი ურალის ციმბირის ინდუსტრიალური განვითარებას. ჩვენი მიღწეული იქნება კუზნეცკის პირველი თუჯი

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიისათვის

ერთსულოვნად გამოვეხმაუროთ ბაქოს პროლეტარიატის ინიციატივას ესკადრილიის ფონდის შექმნის შესახებ

შემოიტანეთ თანხები და გამოიწვიეთ ამხანაგები ესკადრილიის ფონდის შესაგროვებლად

შემოაქვს კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ესკადრილიის ფონდის შესაგროვებლად 25 მანეთი და იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

1. მამია ორახელაშვილს.
2. ლავრენტი ბერიას.
3. გიორგი ყურულაშვილს.
4. გრიშა არუთინოვს (ც. კ.).
5. გერმანე მგალობლიშვილს.
6. პეტრე აგნიაშვილს.
7. არტემ წითლიძეს (თბ. კომ).
8. ხტ. აკოფოვს (თბ. კომ).
9. ბაგრატ მაჩაიძეს (თბ. საბჭო)
10. დათიკო ფანცულაიას (თბილ. საბჭო).
11. ვასო მზარეულაშვილს.
12. კირვალიძეს (ც.ს.კ.)
13. ე. ბითრუგმბიანს (ს.ა.კ.კ.ც.კ.).
14. თედო კორხაველს (ც. კ.).
15. ვალ. ბაქრაძეს (ც. კ.).
16. კოტე გორდელაძეს (ც. კ.).
17. თვალჭრელიძეს (ლენ. რაიკომი).
18. თავშვაძეს (სტალ. რაიკომი).
19. დ. აფციაურს (ორჯ. რაიკომი).
20. ტრდატიანს („26" რაიკომი).
21. ამატუნის (ა-კ. სამხ. კომ.).
22. კუდრიავცევს (ა-კ. სამხ. კომ.).
23. ტ. ლორთქიფანიძეს (სახ. პოლიტ. სამმ.).
24. შ. მათიკაშვილს (მიწსახკომი).
25. კ. ამირაღოვს (ცეკავშირი).

პავლე მელაძე.

3.000 მანეთი „კომუნისტი"-საგან

„კომუნისტს" შეაქვს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიის ფონდში სამი ათასი მანეთი და იწვევს შემდეგ გაზეთებს:

1. „ზარია ვოსტოკა"-ს.
2. „მოლოდოი რაბოჩი"-ის.
3. „ტიფლისკი რაბოჩი"-ს.
4. „მუშა"-ს.
5. „ახალგაზრდა კომუნისტს".
6. „პროლეტარს".
7. „ენი კენდს".
8. „კოლექტივიზაცია"-ს.
9. „საბჭოთა აჭარისტანს".
10. „ყაზაყში გაზეთს".
11. „სოვეტსკაია აფხაზია"-ს.

და ყველა რაიონულ გაზეთებს.

—:—

ფული მიიღება „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პროსპ. 34).

ბრძოლა მესამე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის

გავშალოთ ურთიერთ დახმარება

სათესლე მასალის შეგროვების უახლოეს დღეებში დამთავრებისათვის

ქარალეთის კოლმეურნეობის პატაკი

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი — ამხ. მამია ორახელაშვილს, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხ. ლ. ბერიას და საქართველოს კოლმეურნეკავშირი — ამხ. პ. წულუკიძეს.

ქარალეთი, 1 აპრილი. ქარალეთის კოლმეურნეობა, რომელიც ყველაზე უფრო მსხვილ კოლმეურნეობად ითვლება გორის რაიონში (აერთიანებს 397 მეურნეობას), თავის დროზე შეუდგა მზადებას მესამე ბოლშევიკური საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. კოლმეურნეობის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გეგმა: სიმინდის —320 ჰექტარი, შაქრის ჭარხლის, რაიონის მიერ მოცემულ სავარაუდო გეგმის მიხედვით, — 80 ჰექტარი, ხოლო ჩვენი შემხვედრი გეგმით — 40 ჰექტარი, ბოსტნეულის—140 ჰექტარი, ხეხილის ბაღის—25 ჰექტარი, კარტოფილის—10 ჰექტარი, ლობიო—შერეული—200 ჰექტარი, სულ სხვადასხვა კულტურები უნდა დაითესოს 1160 ჰექტარზე.

15 მარტისათვის დასაზღვევი სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. შეკეთებულია სასოფლო სამეურნეო ინვენტარი: 20 სახნისი, 22 ფარცხი, სიმინდის სათესი მანქანა—6, მარცვლის საწმენდი მანქანა—14, ჭარხლის სათესი მანქანა —4, ფარცხი ზიგ-ზაგი—4, სიმინდის საფშვნელი მანქანა—5, ტრიერი— კულტივატორი.

10 მარტისათვის კოლმეურნეობა სრულიად მზად იყო მინდორში გასასვლელად მუშაობისათვის, მაგრამ დიდი თოვლის და ცუდი ამინდის გამო, მასიური ხვნა დაიწყო 25 მარტს. 30 მარტისათვის მოხნულია 73 ჰექტარი.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 4 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, დამთავრდა ბრიგადების გამოყოფა (გამოყოფილია 7 ბრიგადა), ბრიგადებზე მიმაგრებულია გაწევი ძალა, ინვენტარი და მიწის ნაკვეთები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად შესრულებისათვის ჩვენ მიერ გამოწვეულია ვარიანის კოლმეურნეობა.

ქარალეთის კოლმეურნეობამ აიღო სარაიონთაშორისო სათესლე ფონდის შეგროვების ინიციატივა. ამ ფონდში გადარიცხულია 50 ფუთი სიმინდი, 3 ფუთი ლობიო, ბოსტნეულის თესლი 6 კილოგრამი.

აღნიშნულ წარმატებებს კოლმეურნეობამ მიაღწია ფართოდ გაშლილი პოლიტიკური მუშაობის შედეგად, პარტიული ორგანიზაციის სწორი ლენინური ხელმძღვანელობის მემარჯვენე გადახრის როგორც მთავარ საფრთხის, „მემარცხენე" გადახვევების და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის და 4 თებერვლის დადგენილებათა რეალიზაციის გზით და ბოლშევიკური მუშაობის გაშლით კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

აღვნიშნავთ მოწინავე დამკვრელ კოლმეურნე ენტუზიასტების თავდადებულ მუშაობას; სახელდობრ: მეცხოველეობის განყოფილების ხელმძღვანელ, დამკვრელი კოლმეურნის, პარტიის წევრის ამხ. კოლა ტურმაშვილის, შრომის ორგანიზატორ ბაგრატ ბოჭიაშვილის (უპარტიო), დამკვრელი კოლმეურნეების აბზარ ბაზანდარაშვილის, მანზურაშვილის, მარო მანზურაშვილის, იოსებ ბაზანდარაშვილის და სხ.

კომკავშირულმა ბრიგადამ 11 კაცის შემადგენლობით თავი დამკვრელად გამოაცხადა და გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დავალებები:

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით დაჯილდოვებულია 26 დამკვრელი კოლმეურნე. მასიური ხვნისა და თესვის დაგვიანება, ცუდი ამინდის გამო, გვავალებს ჩვენ მობილიზაცია ვუყოთ მთელს ძალებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ქარალეთის კოლმეურნეები აცხადებენ თავს მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის დამკვრელებად და სიტყვას აძლევენ საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი, მათი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, სოცშეჯიბრების დამკვრელობის საფუძველზე, მომავალშიაც, ისე როგორც აქამდე, შეუპოვრად იბრძოლებენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - პოლიტიკური განმტკიცებისათვის, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და შესრულებისათვის, როგორც ხარისხობრივი, ისე რიცხობრივი მხრივ..

ქარალეთის კოლმეურნეები მოუწოდებენ ამიერ-კავკასიის ყველა კოლმეურნეებს გაშალონ ბოლშევიკური ბრძოლა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ქარალეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **მოლიაძე.**
ქარალეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **პაპინაშვილი.**
კოლმეურნეობის საქ. კ.პ. (ბ) უჯრედის მდივანი **ბოლოსაშვილი.**

სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 59 პროცენტით

(ზესტაფონის რაიონი)

ზესტაფონის რაიონში 15 და 100 პროცენტიანი დაზღვევი ფონდების შეგროვება ძალზე ჩამორჩა. რაიმიწგანისა და სასოფლო საბჭოების მიერ ამ საქმეში ადგილი აქვს თვითდინებაზე დაყრდნობას.

გეგმით დაზღვევ ფონდში უნდა შეგროვილიყო 366,2 ცენტნერი, ფაქტიურად კი შეგროვილია მხოლოდ 188,2 ცენტნერი, რაც გეგმის 59,8 პროცენტს შეადგენს.

ცალკე სასოფლო საბჭოების მიერ დღემდე არ არის მიღებული სასწრაფო ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ძირულის სოფ. საბჭომ მიცემული გეგმა 61,5 პროც. შეასრულა. კლდეეთის — 37 პროც., შორაპნის — 22,2 პროც., როდინოულის — 35,7 პროც.; შროშის — 11 პროც., საქარის — 40 პროც. და ფუთის — 37 პროცენტით.

სათესლე ფონდების შეგროვების დაგვიანება ხელს უშლის გაზაფხულის თესვის დაწყებას.

თესლეულის შეგროვებაში საჭიროა ძირითადი გარდატეხის მოხდენა, რომ ამით შესაძლებელი გახდეს რაიონში მასიური ხვნა - თესვის დაწყება.

შ. მგელაძე
გ. ცხელიშვილი

თესვის ფრონტიდან

—:—

გეგმები არ შეუდგენიათ

ბაღდათი, 29 მარტი. რაიონში მესამე საგაზაფხულო თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მრავალ კოლმეურნეობებს და ორგანიზაციებს დღემდე არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით (სოფ. ობჩა, როხი, არტელი „პირველი ნაბიჯი", ლესტრანხოზი და სხვ.)

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში შედგენილი არ არის საგაზაფხულო თესვის გეგმები და ინდივიდუალურ გლეხობაში სათესლე მასალა დღემდე არაა შეგროვილი. მანქანა-იარაღების შეკეთებისათვის არ იბრძვიან.

აღნიშნული ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოთ ბაღდათის რაიონულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ადგილებზე, დარაზმონ კოლმეურნეები და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები და უზრუნველყონ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ა. სულამანიძე.

კოლმეურნეობათა რაიკავშირი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს ადგილებს

(მარტვილის რაიონი)

მარტვილის რაიონში მესამე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის მოსამზადებელი მუშაობა დროულად იქნა დაწყებული. თესვის გეგმები დაყვანილია თვითეულ კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალურ მთესველამდე. კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მიეცათ მტკიცე დავალება.

მიუხედავად ამ პრაქტიკული ნაბიჯებისა, რაიონში თესვისათვის სამზადისი ისევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. იარაღ-მანქანების შეკეთება დღემდე დაუმთავრებელია. კოლმეურნეობებში სიმინდის სათესლე ფონდი შეგროვილია, მაგრამ მისი შენახვა-დახარისხებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

კოლმეურნეობებში საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა გვიანდება. ამ საქმეში რაიკოლმეურნეკავშირის ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება არადამაკმაყოფილებელია.

ასეთი მდგომარეობაა თესვისათვის მზადებაში მაშინ, როდესაც მთელ რიგ კოლმეურნეობებმა მასიური ხვნა დაიწყო, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობებმა (დიდი ინჩხური) ბოსტნეულის კულტურის თესვაც დაიწყეს.

სარაიონო გაზეთ „სოციალისტური სოფელი"-ს რედაქციამ საგაზაფხულო თესვის გეგმის მთლიანად შესრულებისა და სანარდო სისტემის სწორად გატარების საქმეში პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, შეფობა აიღო მარტვილის თემის ორ კოლმეურნეობაზე.

პარტ-კომკავშირის ადგილობრივ უჯრედებმა და სოფ. საბჭოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლის ტემპები ბოლშევიკური გაზაფხულის უკლებლივ შესრულებისათვის.

რ. გაბეჩავა

ა/წ. 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, შრომის სასახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 17) გაიხსნება

საქ. პროფკავშირების მე-8-ე ყრილობა

შემდეგი დღის წესრიგით:

1. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მოხსენება.
2. საქ. პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიების საანგარიშო მოხსენება.
3. სახალხო მეურნეობის 1931 წ. გეგმის შესრულების შედეგები და 1932 წლის ამოცანები.
4. მუშათა მომარაგების შესახებ— მომარაგების სახკომისარიატის მოხსენება და ცეკავშირის თანამოხსენება.
5. საქ. შრომის სახ. კომისარიატის საანგარიშო მოხსენება და რესპუბლიკის სოც. დაზღვევის კომიტეტის თანამოხსენება.
6. არჩევნები.

იქვე, საღამოს 5 საათზე, გაიხსნება ყრილობის ფრაქციის სხდომა. საქ. კომ პარტიის (ბ) ყველა დელეგატ წევრის ფრაქციის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

საქ პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვამზადოთ მეორე ხუთწლედი—უკლასო სოციალისტური წესწყობილების ხუთწლედი

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე

ამხანაგებო! სწორედ ამ სამი წლის წინად, 1929 წლის 21 მარტს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა. ეხლა საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და სამხარეო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დღის წესრიგში სდგას არა მეორე ხუთწლედის დამტკიცების, არამედ მხოლოდ მეორე ხუთწლედის შედგენის დირექტივების საკითხი. მეორე ხუთწლედის შედგენის დირექტივები მთელი საბჭოთა კავშირისათვის ნამდვილად ბოლშევიკურად იქნა გაფორმებული მე-17 პარტიულ კონფერენციაზე.

ჩვენს გაერთიანებულ პლენუმს, რომელიც შეიკრიბა ამ კონფერენციის შემდეგ არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ საერთო საკითხებს, რომლებიც მე-17 პარტკონფერენციამ დასვა და გადაჭრა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებთან სრული შეფარდებით.

მე-17 პარტკონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა

მე 17 პარტკონფერენციის მნიშვნელობა განსაკუთრებულია: იგი შეიკრიბა ისტორიულ მიჯნაზე პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების წელს, როცა დამთავრებულია სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება, რაც ქმნის ყველა წინასწარ პირობებს მეორე ხუთწლედის— უკლასო სოციალისტური წესწყობილების აშენების ხუთწლედის უდიდეს ამოცანების ასეთივე წარმატებით და ძლევამოსილად გადაჭრისათვის.

მე-14 ყრილობა იყო, უმთავრესად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. მე-15 ყრილობა იყო ინდუსტრიალიზაციის ამ პოლიტიკის წინასწარი შედეგების ყრილობა, ამასთან ყრილობამ გადაჭრით წამოაყენა ტემპების ამოცანა, ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების განსაკუთრებით კი მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპების ამოცანა, მძიმე ინდუსტრიის, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის უმაგრეს საძირკველს, საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და ამ ეტაპზე ცენტრალური ამოცანის—დაეწიოთ და გაუსწროთ ტეხნიკურ - ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობა—გადაჭრის ძირითად პირობას. მაგრამ ამასთან ერთად მე-15 ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიაც, რომ ამ ყრილობაზე, მსხვილი მრეწველობის წარმატებათა საფუძველზე, მთელის ბოლშევიკური გარკვეულობით და გადაწყვეტილებით წამოყენებულ იქნა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა. „მე-15 ყრილობა, უმთავრესად, იყო კოლექტივიზაციის ყრილობა. ეს იყო მზადება საერთო შეტევისათვის“ (სტალინი).

მე-16 პარტკონფერენციაზე პარტიამ მიიღო პირველი ხუთწლიანი გეგმა. ეს იყო ჩვენი სამეურნეო სისტემის უდიდესი, ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. სამეურნეო განვითარების მთელი პროცესი მის ყველა დარგებში შეტანილი იყო განვითარების ერთიან გეგმაში, რომელიც წარმოადგენდა არა მარტო მომავალ სტიქიური პროცესების გათვალისწინებას, არამედ გეგმა - დირექტივას, ხუთწლიან გეგმას სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის მიერ კაპიტალისტური სექტორის სისტემატიურად განდევნის ცენტრალური იდეით.

მე-16 ყრილობა, უმთავრესად იყო სოციალიზმის მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის ყრილობა, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის ყრილობა. მე-16 ყრილობას ჩვენი ქვეყნის სოციალურ - პოლიტიკური განვითარების ანალიზის და სოციალისტური მშენებლობის შედეგების საფუძველზე, შეეძლო აღენიშნა, რომ საბჭოების ქვეყანა უკვე შევიდა სოციალიზმის პერიოდში.

მე-17 პარტკონფერენცია შევა ბოლშევიკების პარტიის და მსოფლიო კომუნიზმის ისტორიაში, როგორც ისეთი კონფერენცია, რომელმაც მოგვცა ძირითადი პოლიტიკური გეზი საერთოდ მეორე ხუთწლედის მანძილზე კაპიტალისტური ელემენტების და კლასების საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში და რომელმაც დასახა ძირითადი სამეურნეო ამოცანა — დავამთავროთ მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, შევქმნათ უახლესი ტეხნიკური ბაზა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე ჩვენი ქვეყანა, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, ძალიან უახლოვდება იმ ამოცანის გადაჭრას, რომელსაც პროლეტარული რევოლუციონერების წინანდელი თაობა სთვლიდა „საბოლოო მიზნად“, ესე იგი, უკლასო, სოციალისტური საზოგადოების შექმნას. არც ერთ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც სცვლიდა წინად არსებულ წესწყობილებას, არც ერთ კლასს, რომელმაც განამტკიცა თავისი ბატონობა გამარჯვებული ბრძოლის შემდეგ, არ გაურბენიათ თავიანთი ისტორიული გზა გამარჯვების მიზნისაკენ ისე სწრაფად, როგორც ეს გაირბინა ოქტომბრის რევოლუციამ. რამდენი ათეული წლები დასჭირდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, რომ ფეოდალურ არისტოკრატიაზე გამარჯვების შემდეგ, განემტკიცებინა თავისი ბატონობა და გადაექცია საზოგადოებრივი ურთიერთობა თავის ბუნებასთან შეფარდებით. ბურჟუაზიული საზოგადოებრივ ურთიერთობათა „კონსოლიდაცია“, ბურჟუაზიული ბატონობის განმტკიცება მოხდა დაახლოვებით 70—80 წლის შემდეგ, როცა საფრანგეთის ბურჟუაზიამ ჩაახშო პროლეტარული რევოლუცია, პარიზის კომუნა და მოიპოვა შედარებით „მშვიდობიანი“ კლასობრივი ბატონობის მეტისმეტად საუკუნიანი პერიოდი. და ამიტომაც უდიდესია მე-17 პარტკონფერენციის ისტორიული დირექტივების საერთაშორისო მნიშვნელობა; იგი გახდება მსოფლიო პროლეტარიატის და კაპიტალიზმის მიერ ყველა ჩაგრულთა ალფრთოვანების ძლიერ სტიმულად; იგი ასჯერ მეტად გააძლიერებს პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის, როგორც ბურჟუაზიის დამხობისაკენ მიმართულ მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობის ნამდვილი დამკვრელი ბრიგადის მნიშვნელობას; იგი კიდევ უფრო მეტად გახდის ჩვენს საბჭოთა კავშირს ყველა ქვეყნის მუშების და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა მიზიდვის ცენტრად, რომლის გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო გაიზრდება.

ქვეყანა სოციალისტური ეკონომიკის დამთავრებული საძირკვლით. მეორე ხუთწლედის ქვეყანა მტკიცდება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ბაზა, განსაკუთრებით იმ უსასტიკესი კრიზისის ფონზე, რომლითაც დაავადებულია კაპიტალის ყველა ქვეყნები. საბჭოთა სოციალისტური სისტემის უპირატესობანი განსაკუთრებით ნათლად უნდა იხატებოდეს ჩაგრულთა და თავისი კლასობრივი განთავისუფლებისათვის მებრძოლთა შეგნებაში. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მეორე ხუთწლედი— ჩვენი წარმატებათა შედეგი, განსაკუთრებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე,—მომავალშიაც გამოიწვევს ენტუზიაზმის სულ ახალ და ახალ ტალღას და ალფრთოვანებას საერთაშორისო პროლეტარიატის და კოლონიალური ქვეყნების მონათა რიგებს შორის, მათ სურვილს და ნებისყოფას ელაპარაკონ თავის ბურჟუაზიას, თავის მჩაგვრელებს „რუსული ენით“, საბჭოთა კავშირის ენით.

განსაკუთრებით გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა აქვს პარტკონფერენციის დირექტივას სამეურნეო მშენებლობის დარგში. აქ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილად მშენებლობის გამოცდილების მიხედვით, შემოწმებულია ჩვენი მეურნეობის სისტემა და ყველა ქვეყნის რამდენიმე მილიონ მშრომელისათვის ნათელი ხდება მთელი მისი უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემაზე. ჩვენი სისტემა გეგმიანია. ერთ მთლიან სოციალისტურ გეგმაში შეტანილი სახალხო მეურნეობის და მისი ყველა დარგების განვითარების ძირითადი პროცესები.

სოციალისტური მშენებლობის ამ გეგმიანმა სისტემამ, საბჭოთა მეურნეობის გეგმიანმა სისტემამ მოიპოვა გამარჯვება პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის სამეურნეო განვითარებასა, ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებასა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დამთავრებაში. დამახასიათებელია, რომ ამ ჟამად თვით „განათლებულ“ ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც გვბაძავენ ამ მხრით ჩვენ— „ბარბაროსებს და დამანგრეველებს“. ბურჟუაზიული ეკონომისტების და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოწინავე ფენების აზრი გამუდმებით მუშაობს ამ მიმართულებით: ხომ არ შეიძლება, სახალხო მეურნეობის მგეგმავ ბოლშევიკების მსგავსად. დავგეგმოთ სახალხო მეურნეობაც, მოვათავსოთ იგი ერთგვარ მტკიცე ჩარჩოებში და მტკიცე კალაპოტში და ამით გამოვიდეთ საყოველთაო კრიზისის იმ უნაპირო ზღვიდან, რომელშიაც უკვე მესამე წელიწადია იძირება მსოფლიო მეურნეობა? გასული წლის ზაფხულში ამსტერდამში შედგა „საგეგმო კონგრესი“, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტი—ინტელიგენტები შეიკრიბნენ ამ მიზნით. კონგრესზე მონაწილეობას იღებდა ჩვენი, საბჭოთა დელეგაციაც ამხ. ოსინსკის, პრეობრაჟენსკის და სხვ. შემადგენლობით. რასაკვირველია, ამ კონგრესმა ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო და არც შეიძლებოდა რომ გამოეღო, ვინაიდან ბურჟუაზიული მეურნეობა — ეს არის სტიქიური მეურნეობა, მეურნეობა, რომელიც დამყარებულია კონკურენციაზე, ამასთან მონოპოლიის სისტემასაც, მონოპოლისტურ კაპიტალიზმსაც არ შეუძლია აღმოფხვრას ეს კონკურენცია და წარმოების ანარქია. ამას სცნობენ და აღიარებენ კონგრესის ინიციატორებიც, მაგრამ გამანადგურებელი საყოველთაო მსოფლიო კრიზისი აიძულებს მათ ეძიონ გამოსავალი სხვა რომელიმე მიმართულებით. ბურჟუაზიული მეურნეობის ერთად - ერთი დაგეგმვა, პროლეტარიატის და ყველა ჩაგრულთა თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, რომ „დაგეგმონ“ მთელი კაპიტალისტური სისტემის — ეკონომიური და პოლიტიკური რევოლუციონური დამხობა და დაამყარონ პროლეტარიატის დიქტატურა სოციალიზმის მშენებლობისათვის.

მეორე ხუთწლედის გეგმის შედგენის წინაპირობები

იგულისხმება, რომ ამ წინაპირობებს წარმოადგენენ პირველი ხუთწლედის წარმატებანი, იმ ხუთწლედის, რომელსაც ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ჯერ უყურებდა ღიმილით, მერმე, როცა დაუკვირდა, ცოტა შეშინდა, შემდეგ კი თავისი ერთგული მსახურების სახით მთელს მსოფლიოში მორთო ყვირილი: „ყარაული“, ბურჟუაზიის ზოგიერთი მსახური იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ თუ ხუთწლიანი გეგმის სამი მეოთხედი, მაინც განხორციელდა, ეს იქნება სასიკვდილო მუქარა დასავლეთ ევროპის ცივილიზაციისათვის, ე. ი. კაპიტალიზმისათვის. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა ხორციელდება. და ხორციელდება გეგმის არა სამი მეოთხედი, არამედ მთელი გეგმა ოთხ წელიწადში, — უფრო მოკლე ვადაში, რამაც თავზარი დასცა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს და პოლიტიკოსებს.

მთელი ფრონტით გაშლილმა სოციალისტურმა შეტევამ, სამეურნეო განვითარების მაღალმა ტემპებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო იზრდება, და ჩვენი ცენტრალური კომიტეტის სწორმა ხელმძღვანელობამ, უზრუნველყო ინდუსტრიალიზაციის, მძიმე მრეწველობის, პირველ რიგში საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარების პოლიტიკის წარმატებანი. ამჟამად საბჭოთა კავშირს უკვე აქვს საკუთარი ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის დასამთავრებლად. ეს არის სოციალიზმის ძირითადი ბაზა. საწარმოო საშუალებათა წარმოების დაუფლებით, საბჭოთა კავშირი თავისუფლდება უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან. ტეხნიკურ - ეკონომიური მხრით. და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომელიც პროლეტარიატმა მხოლოდ 14 წლის წინად გამოგლიჯა ხელიდან ცარიზმს, და რუსეთის ბურჟუაზიას მისი კერენსკებით!

სოციალისტური ინდუსტრიის ახალ გიგანტებთან ერთად, რომლებიც აგებულია ტეხნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მსხვილი ინდუსტრიის წარმატებათა საფუძველზე, საგრძნობლად გაიზარდა მსუბუქი მრეწველობა და საკვები პროდუქტების ინდუსტრია, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებანი.

საბჭოთა კავშირი არის ის ქვეყანა, რომელმაც მიაღწია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განსაკუთრებულ წარმატებებს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და ღარიბ და საშუალო გლეხების მეურნეობათა მასიური კოლექტივიზაციის მეოხებით, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის ლიკვიდაციის მეოხებით სულ უფრო და უფრო ვრცელდება სოფლის მეურნეობაში მანქანური მაღალი ტეხნიკა, სოციალისტური ფორმები გაბატონებულია სოფლის მეურნეობაში, სოციალისტურმა პროლეტარიატმა გაიყოლია მშრომელი გლეხობის ძირითადი მასები. ამით გადაჭრილია პროლეტარული რევოლუციის უძნელესი ამოცანა. ოქტომბრის რევოლუციამ ამ პუნქტში გადალახა მეტად საძნელო სიმაღლე, რომელიც ვერ აიღო და არც შეეძლო აეღო ოქტომბრის წინამორბედს — პარიზის კომუნას, ვინაიდან პარიზის კომუნა — და ამაში იყო მისი ტრაგედია — არ ყოფილა დაკავშირებული გლეხობასთან, მოკლებული იყო მის დახმარებას, რადგან ბურჟუაზიამ შესძლო მაღალი კედლის აღმართვა პარიზის კომუნასა და გლეხობას შორის.

ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანაში კი გლეხურ მეურნეობათა უკვე 62 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. წარმოებს კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. მარცვლეულის მთავარ რაიონებში ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პროცესი ძირითადად დამთავრებულია, დანარჩენ რაიონებში დამთავრდება უახლოეს ორ წელიწადში. უმთავრესი მნიშვნელობა ეხლანდელ ეტაპზე ენიჭება კოლმეურნეობათა — სოფლის მეურნეობის ამ სოციალისტური ფორმის — ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებას. ამრიგად, ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხი — „ვინ-ვის“, გადაჭრილია კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის სასარგებლოდ მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც. პროლეტარიატი — რევოლუციის ჰეგემონი — გადაიქცა უძლეველ ძალად, მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურად გახდა კოლმეურნე გლეხობა, საბოლოოდ გამოეცალა ნიადაგი გლეხობის დიფერენციაციას, ე. ი. ბაზას, რომელიც წარმოშობს კაპიტალიზმს.

„კაპიტალიზმისათვის ძირის საბოლოოდ გამოთხრა სოფლად, რაც ქმნის ნიადაგს კაპიტალისტური ელემენტების სრული ლიკვიდაციისა და კლასების სრული მოსპობისათვის, სოციალიზმის საძირკვლის დამთავრება საბჭოთა კავშირში მოასწავებს, რომ ლენინის მიერ დასმული საკითხი — „ვინ-ვის“ გადაჭრილია სავსებით და საბოლოოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის სასარგებლოდ ქალაქსა და სოფელში“ (მე-17 პარტკონფერენციის რეზოლუციიდან).

ამასთან მოისპო აგრარული ჭარბი მოსახლეობა ჩვენს ქვეყანაში, რაც მოწმობს, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ბუმბერაზულ ზრდას, მოსპობილია უმუშევრობა, საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც ადგილი არა აქვს მშრომელთა ამ ბოროტებას. ჩვენ საბჭოთა კავშირში ვღებულობთ ათეულ ათას ლტოლვილს — მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის და დაშნაკების და იმპერიალიზმის სხვა მოსყიდულ აგენტების ყაჩაღური პოლიტიკის მსხვერპლთ. საბჭოთა კავშირში ათასობით მოდიან უმუშევრები ევროპიდან და ამერიკიდან.

ოქტომბრის ქვეყანას ამჟამად აქვს მსხვილი ინდუსტრიალური ბაზა. აღმოსავლეთში შექმნილია მეორე მეტალურგიული ბაზა — კუზნეცკის ბასეინი და მაგნიტოგორსკი; იქმნება არსებითად მესამე მეტალურგიული ბაზა — კარაგანდა.

მაგრამ წარმატებებს მიაღწია პროლეტარული დიქტატურის ქვეყანამ, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ლენინური პარტია, არა თვითმდინარეობით, არამედ პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით, კლასობრივი მტრის იმ აგენტების წინააღმდეგ ბრძოლით, რომლებიც არიან ჩვენი პარტიის რიგებში, მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა“ წინააღმდეგ, თვალთმაქცების, შემარიგებლების, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით, მშრომელთა ფართო მასების ენტუზიაზმის მძლავრი განვითარებით, რაც გამოიწვია ჩვენმა პოლიტიკამ, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით და ჩვენი სწორი საერთაშორისო პოლიტიკის მეოხებით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს უდიდეს წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოდ.

პარტიამ — პროლეტარული რევოლუციის მთავარმა იარაღმა, რასაც მოკლებული იყო პარიზის კომუნა — გაანადგურა ტროცკიზმი, რომელიც ქადაგებდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობას და რომელიც გადაიქცა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლუციის მოწინავე რაზმად.

პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე გადახრა თავის რიგებში, გადახრა, რომელიც მოასწავებდა კაპიტულაციას კულაკების წინაშე და რომელიც წარმოადგენს მთავარ საფრთხეს. პარტია შეურიგებელი იყო და შეურიგებელია „მემარცხენე“ გადახრებისადმი.

პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გამუდმებულად ატარებდა თავის გენერალურ ხაზს და მან უზრუნველყო პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ოთხ წელიწადში. ჩვენი პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. სტალინის მეთაურობით ჩვენი ქვეყანა მოიყვანა მეორე ხუთწლედამდე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედამდე.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები ა.-კ. სფსრ-ში

ამიერ-კავკასია, რომელიც სულ ახლო წარსულში წარმოადგენდა მეფის კოლონიალური რეჟიმის ასპარეზს, რომელიც დაქუცმაცებული და განადგურებული იყო მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების დროს, დღეს წარმოადგენს ისეთ რაიონს, რომელიც გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე სოციალისტურ მხარედ სახალხო - სამეურნეო ცხოვრებისა და ნაციონალური კულტურის ყოველმხრივ აღორძინებისა და სოციალისტურად განვითარების საფუძველზე.

იზრდება ინდუსტრია — ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ხერხემალი, ბუმბერაზულად გაიზარდა და იზრდება საწარმოო ძალები, იქმნება უზარმაზარი სამრეწველო კერები. ინდუსტრიალიზაციის ტემპები მეტად მაღალია, ისინი ქმნიან მტკიცე სამეურნეო საფუძველს ერთა იმ ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, რაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა წინანდელმა სხვადასხვა რეჟიმმა, და მათი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. ჩაქრა ნაშთის დაუტოვებლად ჩვენი სამეურნეო ზრდის „ქრობადი მრუდის“ თეორია. ამიერ-კავკასია ფეხდაფეხ მიდის წინ მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად. მიუხედავად შეცდომებისა, მიუხედავად აქ ჩვენი მდგომარეობის სიძნელეების, ჩვენი პარტიის ც.კ.-ის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დახმარებით, პირველ ყოვლისა, რუსეთის პროლეტარიატის, ამ კეთილშობილი კლასი — განმანთავისუფლებლის დახმარების წყალობით, ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები ჩვენი ამიერ-კავკასიის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. მე აქ დაწვრილებით არ დავახასიათებ ამ მიღწევებს. უკანასკნელ დროს ჩვენში აუარებელი კონფერენციები, ყრილობები და სხვ. ჩატარდა, სადაც ამ მიღწევათა ციფრები საკმაოდ იქნა მოყვანილი. მე აქ აღვნიშნავ მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობის მიღწევებს.

ამიერ-კავკასიის პირველი ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმის წარმატებით განხორციელება და გლეხობის ძირითადი მასების გადაჭრით პირის ბრუნება სოციალიზმის გზისაკენ, კოლექტივიზაციის გზისაკენ. აგრეთვე უდიდესი წარმატებაა მიღწეული ამიერ-კავკასიის როგორც ძირითადი ერების, ისე „ისტორიულად დაგვიანებული“ მცირე ერების ნაციონალურ-კულტურული განვითარების საქმეში. საგრძნობი წარმატებებია მიღწეული ქვეყნის უმდიდრესი ჰიდრო-ენერგეტიული რესურსების გამოყენებაში — ზაჰესი, რიონჰესის, ძორაჰესის, ალაზანჰესის, ერჰესის, ლენჰესის, კანაკირჰესის, აბჰესის, აწჰესისა და დანარჩენი სადგურების მშენებლობა, არსებულ თბოსადგურების გაფართოება. ჩვენი სადგურების სიმძლავრე 1932 წელს შეადგენს დაახლოვებით 300 ათას კილოვატს, რაც ოთხჯერ აღემატება ომის წინადროინდელ რაოდენობას. უდიდესი გარდატეხა მოხდა მძიმე მრეწველობის არსებული დარგების რეკონსტრუქციისა და ახალი დარგების მოწყობის საქმეში. ნავთის ამოღება გადიდდა ორჯერ და მეტადაც ომის წინადროინდელთან შედარებით. ნავთის ხუთწლიანი გეგმა შესრულებულ იქნა 2 ნახ. წელიწადში, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირმა ჩრდ.-ამერიკ. შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა მთელს მსოფლიოში ნავთის ამოღების მხრივ.

დამთავრების პროცესშია ამიერ-კავკასიის ქვანახშირის მეორე ბაზის მშენებლობა — ტყვარჩელი. საძირკველი ჩაეყარა შავ მეტალურგიას—თუჯი, ფერო-მარგანეცი. აღდგენილია და დაწყებულია სპილენძის მრეწველობის რეკონსტრუქცია. გაშლილია ალუმინის წარმოება ზაგლიკის ალუნიტებისაგან. გაშლილია მანქანათმშენებლობა ნავთის, სამთამადნო, ჩაის, აბრეშუმისა და საკონსერვო მრეწველობისათვის, ფართოდ არის გაშლილი საშენებლო მასალის წარმოება — ცემენტი, ტუფი, პემზა, აგრეთვე სახურავი ფიქალი, ახლად მოეწყო მთელი რიგი მინერალური მადნეულის მრეწველობა — ანდეზიტი, ბარიტი, გოგირდის ალმადანი, გუმბრინი, დიატომიტი. გაშლის პროცესშია ძირითადი ქიმიური მრეწველობა — კარბიდი, ციანამიდი, ლითოპონი, გოგირდმჟავა და იოდი. შენდება ბზიბის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის კომბინატი და ენგურის ქაღალდის ფაბრიკა.

კიდევ უფრო ჩქარი ტემპით გაიზარდა, ნედლეულის ბაზის ფართოდ გაშლისა და მთელ რიგ ახალ საწარმოთა მშენებლობის საფუძველზე. მსუბუქი და საკვები მრეწველობა — საფეიქრო. ფეხსაცმლის, ტყავის, საკონსერვო, ხორცის, თევზის და შაქრის.

ამასთან ერთად დიდი წარმატება ეტყობა ჩვენს სამრეწველო კოოპერაციას.

მთელი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ოთხი წლის განმავლობაში იზრდება სამჯერ და მეტადაც (478 მილიონიდან 1490 მილიონამდე 1932 წელს).

უდიდესი გარდატეხაა მომხდარი სოფლად, სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს სოციალისტურ ფორმებს — საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. 1932 წელს მებამბეობის ძირითად რაიონებში დამთავრდება მთლიანი კოლექტივიზაცია. საგრძნობლად წინ წაიწია სოფლის ტეხნიკურად შეიარაღებამ. მოეწყო 49 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 65 ათასი ცხ. ძალით. ნათესის ერთი ჰექტარის ინვენტარით ტეხნიკურად შეიარაღების სიმჭიდროვე შვიდჯერ გადიდდა. იქ, სადაც ბატონობდა მამა-პაპური „ხიში“ ან „რომაული სახნისი“, ამჟამად უკვე მუშაობს ტრაქტორი ან, ყოველ შემთხვევაში, გაუმჯობესებული გუთანი. „სახნისის გლეხს“ სცვლის და უკვე შესცვალა კიდეც ტრაქტორით, გუთნითა და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანით მომუშავე კოლმეურნემ.

კოლექტივიზაციის, საბჭოთა მეურნეობების მაღალი სამანქანო ტეხნიკის გაშლის საფუძველზე და წყალთა მეურნეობის დარგში უდიდეს სამუშაოთა ჩატარებასთან დაკავშირებით საგრძნობი განვითარება დაეტყო ტეხნიკურ, სპეციალურ კულტურებს — ბამბას, თამბაქოს, ჩაის, რამის, ეთეროვან კულტურებს და სხვ. ბამბით და თამბაქოთი დათესილი ფართობი ორჯერ აღემატება ომის წინადროინდელ რაოდენობას. პირველი ხუთწლედის დიდ სამუშაოთა გეგმის ძირითადი ნაწილების შესრულება გადაჭარბებით ხდება 4 წელიწადში. მრეწველობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საქონლის ბრუნვა, სოფლის მეურნეობა — ამიერ კავკასიის სახალხო მეურნეობის ყველა ეს დარგი გაძლიერებული ტემპით განვითარდა, რის შედეგადაც ჩამორჩენილი აგრარული ამიერ-კავკასია გადაიქცა ინდუსტრიარულ ქვეყნად მაღალი ტეხნიკური ბაზით.

ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებამ, ძირითადათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ და საყოველთაო სწავლების განხორციელებამ, სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ქსელის საგრძნობლად გაშლამ, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ლიტერატურის, ხელოვნების, ბეჭდვითი სიტყვის, კლუბების, კინოს, რადიოს, ახალი თურქული ანბანის და სხვათა — ფართოდ განვითარებამ უზრუნველყო უდიდესი გარდატეხა ამ.-კავკასიის რესპუბლიკების კულტურული და საყოფაცხოვრებო ჩამორჩენილობის დაძლევაში.

სოციალისტური და კულტურული მშენებლობის ფრონტზე ამ წარმატების მიღწევა წარმოადგენს პარტიის გენერალური ხაზისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ გატარების შედეგს, რაც ხდებოდა მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მასის მიერ უდიდესი ენტუზიაზმის გამოჩენისა და მათი ინტერნაციონალურად შეკავშირების საფუძველზე.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციები საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ პარტიის გენერალური ხაზისათვის კონტრ-რევოლუციური ტროცკიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისა და თვალთმაქცობის წინააღმდეგ, მათ ბოლო მოუღეს უპრინციპო დაჯგუფებას და ატამანშჩინას. საკავშ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მუდმივმა დახმარებამ და ხელმძღვანელობამ უზრუნველყო ჩვენ მიერ სოციალისტური მშენებლობისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევა ამიერ-კავკასიაში.

მაგრამ აშკარა გამარჯვების გამო ჩვენ არ უნდა მოვერთოთ „ბუკისა და ნაღარის“ ცემა. ჩვენში ადგილი აქვს ხუთწლიანი გეგმის შეუსრულებლობას მის ისეთ ძირითად ნაწილებში, როგორსაც წარმოადგენს ქვანახშირი, სპილენძი და მთელი რიგი სხვა დარგები. განსაკუთრებით ჩამორჩენილი ვართ ჩვენ მეცხოველეობის დარგში.

მაგრამ მთელის სიმკვეთრით აქ ხაზი უნდა გაესვას ჩვენს ჩამორჩენას შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის დარგში. ამავე დროს კი შრომის ნაყოფიერება—ეს ის ძირითადი, ის განსაკუთრებული რამაა, რისთაც ერთი საზოგადოებრივი წყობილება განსხვავდება მეორისაგან. ლენინის მოძღვრებით, სწორედ შრომის ნაყოფიერება, თუ ჩვენ შევძლებთ მის გადიდებას (ჩვენ კი, ცხადია, შევძლებთ ამას), უნდა გახდეს სოცმშენებლობის დაჩქარების, სოციალისტური წყობილების საბოლოო გამარჯვების პირობად. შრომის გადიდებული ნაყოფიერებით უდიდესად და უაღრესად სწრაფი ტემპებით ვემიჯნებით ჩვენ წყეულ კაპიტალისტურ წარსულს. ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ ამიერ-კავკასიის ხუთწლიანი გეგმა საგრძნობი ჩამორჩენით იქნა შესრულებული. ეს არის გაკვეთილი, რომელიც ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ და რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო მეორე ხუთწლედში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში 1932 წლის განმავლობაში, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შედეგებით წარვსდგებით ჩვენ მეორე ხუთწლედის წინაშე პირველი ხუთწლედის უკანასკნელი დამამთავრებელი წლის დამთავრების შემდეგ. ეს დანაკლისი ჩვენ უნდა დავფაროთ აუცილებლად მიმდინარე წელს, რისთვისაც უნდა გაიშალოს მუშაობა ყველა დარგებში ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე.

ეს წარმატება მტკიცე საფუძვლად დაედება მეორე ხუთწლიან გეგმას ამიერ-კავკასიაში. ამ ხუთწლედში ჩვენ უნდა შევიდეთ ისე, რომ არ გვქონდეს არავითარი დანაკლისი სამეურნეო, თუ პოლიტიკური ხასიათის, რადგან თვით მეორე ხუთწლედის ამოცანები იმდენად გრანდიოზულია, რომ უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ძალებისა და ყველა ჩვენი შესაძლებლობის მობილიზაცია, ჯერ ერთი ამ ხუთწლედის საფუძველთა სწორად და დროზე დასამუშავებლად, მეორედ კი — მუშაობისათვის 1932 წლის სახალხო - სამეურნეო გეგმის შესრულების მიზნით, რამაც უნდა უზრუნველყოს მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატება.

მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები

პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის ბრძოლის წარმატებათა საფუძველზე, ჩვენი პარტია მეორე ხუთწლიანი გეგმის პროგრამად აყენებს უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს. პირველი ხუთწლედის გაშლილი სოციალისტური - მშენებლობის შედეგად საბოლოოდ გამოითხარა ძირი კაპიტალიზმს სოფლად, რაც განსაზღვრავს კაპიტალისტური ელემენტების სრულ ლიკვიდაციას და კლასების საბოლოო მოსპობას. ამიტომ, მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, მეორე ხუთწლედის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა:

„კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია; კლასობრივი განსხვავების და ექსპლოატაციის წარმომშობი მიზეზების სრული მოსპობა და კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა ეკონომიკაში და ადამიანის შეგნებაში, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად“.

სოციალიზმი არის კლასების მოსპობა, უკლასო საზოგადოება, რაც იქმნება პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის შედეგად, პროლეტარიატის, რომელსაც თან მიჰყავს ყველა მშრომელები რომელიც ხელმძღვანელობს თავის მოკავშირეებს და ახდენს მათ გარდაქმნას.

მაგრამ შეიძლება დაისვას და უკვე ისმება ასეთი კითხვა — ვსპობთ რა კაპიტალისტურ ელემენტებს, ექსპლოატატორებს, რომელნიც ჯერ კიდევ არსებობენ ნეპმანების სახით, იმ ელემენტების სახით, რომელნიც ლპებიან ქალაქურ სპეკულიაციაში, სოფლის კულაკობის სახით — ნუთუ ჩვენ ამით ამავე დროს ვსპობთ საერთოდ კლასებსაც, არ გვეყოლება კლასები ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში, ხეობებსა და მთიან ადგილებში? აქ საჭიროა გარკვეულობა.

რა არის კლასები? ესაა არა სალექციო ხასიათის ახსნა - განმარტების საკითხი, არამედ მეტად „საპირბოროტო“ საკითხი ჩვენს ეხლანდელ რევოლუციონურ პოლიტიკაში. ცნობილია, რომ კ. მარქსმა ნაწილობრივ გასცა პასუხი ამ კითხვაზე თავის „კაპიტალი“-ს მე-3 ტომის უკანასკნელ, დაუმთავრებელ თავში.

„დაქირავებული მუშები, კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი წარმოადგენენ წარმოების კაპიტალისტურ წესზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოების 3 დიდ კლასს... რა ქმნის კლასს? პასუხს თავის თავად მივიღებთ, თუ უპასუხებთ შემდეგ კითხვაზე: რა ხდის დაქირავებულ მუშებს, კაპიტალისტებს და მიწის მესაკუთრეებს იმ ელემენტებად, რომელნიც ქმნიან სამ დიდ საზოგადოებრივ კლასს“.

მარქსის ხელნაწერი ამაზე წყდება. მან ვერ მოასწრო დაემთავრებინა თავისი „კაპიტალი“, ვერ მოგვცა „კლასის“ კატეგორიის ამომწურავი ანალიზი. მაგრამ [illegible] არა მარტო თეორიულად, არამედ რევოლუციურ - პრაქტიკულადაც ლენინმა.

აი, ერთი მრავალრიცხოვან ციტატებს შორის ყოველივე მის მიერ დაწერილიდან კლასის ზუსტი მარქსისტული განსაზღვრისათვის:

„კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომელნიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივ წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი დამოკიდებულებით (მეტწილად კანონებით გამაგრებული და მათში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებით) წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ გააჩნიათ. კლასები — ესაა ადამიანთა ისეთი ჯგუფები, რომელთაგან ერთის შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივ მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის წყალობით“ (თხზ. კრებული, გამოცემა 2, ტ. 24, გვ. 337).

მაშასადამე, კლასების წარმოშობის მთავარი ფაქტორი, ნიშანი — ეს არის დამოკიდებულება, ბატონობის და დაქვემდებარების დამოკიდებულება საზოგადოებრივ წარმოებაში, ექსპლოატაციის და ეკონომიური ჩაგვრის დამოკიდებულება, დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი, ეს არის შემოსავლის, საზოგადოებრივი სიმდიდრის წილის მიღების წესი. გამარტივებულად, მაგრამ მეტად ცხადად ამას განსაზღვრავს ინგლისელი ეკონომისტი იდენი, რომლის სიტყვები მოყავს კარლ მარქსს თავის „კაპიტალში“. (ტ. 1; გვ. 604):

„არა მიწის და ფულის ფლობა, არამედ ბატონობა შრომაზე,—აი რა ანსხვავებს მდიდრებს საზოგადოების მომუშავე ნაწილისაგან“.

როგორი აღმოჩნდა კლასების ძალთა განწყობილება პროლეტარული რევოლუციის ქვეყანაში? კომინტერნის მესამე კონგრესისათვის შედგენილ მოხსენების თეზისებში ლენინი სწერდა:

„საბჭოთა რუსეთის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა იმით განისაზღვრება, რომ აქ პირველად მსოფლიო ისტორიაში მთელი რიგი წლების მანძილზე არსებობს მხოლოდ ორი კლასი: პროლეტარიატი.. და წვრილი გლეხობა, რომელიც შეადგენს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. მსხვილი მიწის მესაკუთრენი და კაპიტალისტები რუსეთში არ გამქრალან, მაგრამ მოხდა მათი სრული ექსპროპრიაცია, ისინი სავსებით განადგურებულნი არიან პოლიტიკურად, როგორც კლასი.. კლასობრივი ორგანიზაცია მათ შეინარჩუნეს საზღვარგარეთ, როგორც ემიგრაციამ“..:

გლეხობა უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია, მაგრამ მას შეადგენენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფები: ღარიბი გლეხობა— ეს ნახევრად პროლეტარებია; კულაკები— სოფლის ბურჟუაზია და საშუალო გლეხობა, რომელნიც არ ეწევიან სხვისი შრომის ექსპლოატაციას, მაგრამ მაინც მესაკუთრეებს წარმოადგენენ. ღარიბი გლეხობა მუშათა კლასის დასაყრდენია სოფლად, კულაკი — კლასობრივი მტერია, საშუალო გლეხი — მოკავშირე. მაგრამ პროლეტარიატს და მის პარტიას ესაჭიროებოდა არა ყოველგვარი კავშირი საშუალო გლეხობასთან, არამედ ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფდა მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას, რომელიც გააადვილებდა კლასების მოსპობის საქმეს, (სტალინი). პროლეტარიატის კავშირს და ხელმძღვანელობას გლეხობის მიმართ მიზნად უნდა ჰქონოდა და კიდეც ჰქონდა არა წვრილი მწარმოებლის განმტკიცება, არამედ კლასების მოსპობა, წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობის მსხვილ სამანქანო კოლექტიურ მეურნეობად გადაქცევის საფუძველზე. კულაკების ექსპლოატატორულ ტენდენციების შეკვეცის და მისი შეზღუდვის პოლიტიკიდან მობრუნება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, როგორც ცნობილია, მოხდა 1929 წლიდან. ჩვენი პარტიის ამ პოლიტიკამ სავსებით გაიმარჯვა. გლეხობის ძირითადი მასები დაადგნენ სოციალიზმის გზას, კოლექტივიზაციის გზას. კოლმეურნე გლეხობა გადაიქცა მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად, იგი გახდა საბჭოთა ხელისუფლების მკვიდრ დასაყრდენად სოფელში. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ისპობა კულაკობა, როგორც კლასი. მსხვილი მრეწველობის კაპიტალისტური ელემენტები უკვე კარგა ხანია გაქრნენ, ხოლო წვრილ მრეწველობასა და ვაჭრობაში მათი როლი სულ უფრო მცირდება, არარამდე დადის — უკვე მიმდინარე, 1932 წელს კერძო სექტორის წილი 10 პროცენტზე ნაკლები იქნება. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ კოლმეურნე გლეხობა უკვე არ წარმოადგენს კლასს? არა. კოლმეურნე გლეხობა ჯერ კიდევ რჩება კლასად, კლასად, რომელიც განსხვავდება პროლეტარიატისაგან, რადგან მისი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი, მის მიერ სახალხო შემოსავლის წილის მიღების წესები ჯერ კიდევ განსხვავდება პროლეტარიატისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულებისა და წესებისაგან. ცნობილია, რომ კოლმეურნეობაში კი არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება კოლმეურნე გლეხის ნამდვილი გარდაქმნა სოციალისტური საზოგადოების მუშაკად. წინამდებარე პერიოდში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების, მათში პროლეტარული დისციპლინის, სოციალისტური ჩვევების განმტკიცების, წვრილ - ბურჟუაზიული ფსიხოლოგიის ნაშთების აღმოფხვრის პერიოდში, მეორე ხუთწლედის პერიოდში იწარმოებს იმ კლასობრივ თავისებურებათა ლიკვიდაცია, რომლებსაც ჯერ კიდევ ატარებს ახლანდელი კოლმეურნე გლეხობა. ეს კი. კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციასთან ერთად, იმის მაჩვენებელია, რომ ისპობა კლასები საერთოდ. ვინაიდან, თუ არ მოისპობა ექსპლოატაციის „სუბიექტები“, თუ ისპობა ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ, ე. ი., თუ არ არის ექსპლოატატორები, ცხადია, არ არის ექსპლოატაციის ობიექტებიც. შესაძლებელია, რომ ზოგიერთს კულაკებიდან, რომლებიც მოისპობა, როგორც კლასი, ყოფილ ნეპმანების ზოგიერთ ნაწილს სკივრებში დარჩეს რამდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ რა თქმა, უნდა, ეს ვერ განსაზღვრავს ძირითად სოციალურ ურთიერთობას მეორე ხუთწლედში. ექსპლოატაციის ურთიერთობას ადგილი არ ექნება. ექსპლოატაციის ურთიერთობა მეორე ხუთწლედში ისპობა, არ იქნება ისეთ ადამიანთა წრე, ან ჯგუფი, რომლებიც ფლობენ წარმოების საშუალებებს, რომელთა მეოხებით მათ შეეძლებათ სხვა ჯგუფების ექსპლოატაცია. მთელი მრეწველობა, როგორც მსხვილი, ისე წვრილი და შინამრეწველობა, მოქცეული იქნება განსაზოგადოებულ სექტორში. სოფლის მეურნეობა, მთლიანი კოლექტივიზაციის, ტრაქტორიზაციის და ნაწილობრივ ელექტროფიკაციის საფუძველზე, იქნება სოციალისტური მშენებლობის უბანი. სასოფლო-სამეურნეო შრომას ექნება ინდუსტრიალური შრომის სახე. ამგვარად მოისპობა ექსპლოატაციის წყარო, მაშასადამე, გაქრება კლასების წარმომშობი ფაქტორები. ესაა კლასობრივი ურთიერთობის და თვით კლასების ლიკვიდაცია. რაკი არ არის კაპიტალისტური ელემენტები, ე. ი. ექსპლოატატორები, რაკი მოსპობილია კლასობრივი განსხვავების წყარო, სადაა ასეთ პირობებში კლასები? რა თქმა უნდა, პროლეტარიატი მეორე ხუთწლედში არ გათქვეფება, როგორც ემულსიაში, ყველა მშრომელებში. ის შეინარჩუნებს ჰეგემონიას, მთელი მშრომელი მასის ხელმძღვანელის ძირითად თვისებებს, ის დარჩება „კლასად“, მაგრამ ეს უკვე აღარ იქნება კლასი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პროლეტარიატი მას შემდეგ, რაც მან დაიპყრო წარმოების ყველა საშუალებები, რა თქმა უნდა, არ არის უკვე პროლეტარიატი წინანდელი აზრით, ე. ი. ისეთი, როგორიც ის კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყო. მართალია, „ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიცია ცდილობდა ისე დაეხატა ჩვენი თანამიმდევრობით სოციალისტური ტიპის საწარმოების და პროლეტარიატის ურთიერთობა, როგორც პატრონ-დამქირავებლის და დაქირავებული შრომის ურთიერთობა, მაგრამ ეს ბურჟუაზიული ცილისწამება, ისე როგორც ცილისწამებით აღსავსე მოთქმა ტერმიდორზე, დარჩა მხოლოდ იმ ბურჟუაზიის არსენალში, რომლისათვისაც ტროცკიზმი წარმოადგენს ანტი-საბჭოთა იდეების და გეგმების მომწოდებელს. პროლეტარიატი, რომელმაც გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციაში, შექმნა არა მარტო ბურჟუაზიული წყობილების მესაფლავე, არამედ ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელიც. იგი ყოველგვარ დამოკიდებულებას სოციალისტურ საფუძველზე აყენებს, წვრილ-გლეხურ მეურნეობას ხდის მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად, მაგრამ ამასთან პროლეტარიატი თვითონ იცვლება. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მარქსის სიტყვები. 60-იან წლებში გერმანიის პროლეტარიატისადმი მიმართვაში ის ამბობდა, რომ პროლეტარიატს მოელის 10—20—50 წლის სამოქალაქო ომები, რათა შესცვალოს მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა და თვითონაც გამოიცვალოს. და ჩვენი პროლეტარიატი, რომელიც თავისი პარტიის ხელმძღვანელობით ახდენს ქვეყნის მთელი პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული და საყოფაცხოვრებო წყობილების გარდაქმნას, თვითონაც იცვლის სახეს. იგი უკვე არ არის კლასი წინანდელი აზრით. იგი არის სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატის ცალკე ფენებს შორის ჯერ კიდევ არ ექნება ადგილი წვრილ-ბურჟუაზიულ ნაშთებს, ბურჟუაზიულ გავლენას, წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობას, რომელთაგან მათ გაანთავისუფლებს მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობისათვის შემდგომი ბრძოლის სკოლა.

ამიერ-კავკასიის გლეხობაში მოხდა უდიდესი სოციალური გარდატეხა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა რადიკალური ცვლილებები. მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გლეხობის ძირითადმა მასებმა ისწავლეს კულაკთან ბრძოლა, ისინი ასეული ათასობით დაიძრნენ კოლმეურნეობებისაკენ, ამჟამად ჩვენ შევდით სოფლად ნამდვილი ტეხნიკური რევოლუციის ისეთ პერიოდში, რომ ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა ხდება და გახდა უაღრეს მიმზიდველ ძალად მშრომელ გლეხებისათვის. თუ წინად კოლექტივები შენდებოდა გლეხური ინვენტარის უბრალო შეერთებით, ახლა მშრომელ გლეხობას სურს გაერთიანება ტრაქტორის გარშემო, მაღალ სამანქანო ტეხნიკის საფუძველზე. უკვე ტეხნიკა კოლმეურნის შრომას თანდათან ამსგავსებს ინდუსტრიალურ მუშის შრომას და როცა საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, სამანქანო-სათიბი სადგურები, აგრეთვე ელექტრობა საგრძნობლად გავრცელდება სოფლის მეურნეობაში, — ეს მსგავსება კიდევ უფრო განსაცვიფრებელი იქნება. სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცევა ინდუსტრიალური შრომის სახედ. ეს, რა თქმა უნდა, გარდაქმნის გლეხს — გუშინდელი წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგიას, განწყობილებას და შეგნებას. გარდაქმნა უკვე სწარმოებს. ახლანდელი გლეხი — ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს, რომელმაც განვლო წითელი არმიის, სხვადასხვა კურსების, შეკრებების, ყრილობების საუცხოო სკოლა, გლეხი, რომელიც სამუდამოდ შევიდა კოლმეურნეობაში, რა თქმა უნდა, უკვე არ არის წინანდელი გლეხი. მაგრამ მან ჯერ კიდევ უნდა გაიაროს მუშაობის საფუძვლიანი სკოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ფორმებში, სადაც იგი იქნება ახალ შეგნებული და აქტიური მშენებელი და ამავე დროს თვითონაც გამოიცვლება ყველა თავისი საუკუნოებრივი ჩვევებით და ნაშთებით. ფაბრიკაც კი — ახალი შეუდარებლად მაღალი ორგანიზაციის „ქვაბი“ ერთბაშად ვერ გადახარშავს მუშას. ზოგიერთ შთამომავლობით მუშასაც კი ხანდახან დაეტყობა სოფლის გავლენა, წვრილ ბურჟუაზიული გავლენა. მით უფრო მეტხანს დასჭირდება გლეხს სოციალისტური სწავლების სკოლა კოლმეურნეობაში, მისი საარტელო ფორმით, რომელიც ძირითადი ფორმაა ეხლანდელ ეტაპზე, და რაც უფრო უკეთ იქნება მოგვარებული შრომა ჩვენს კოლმეურნეობებში, რაც უფრო უკეთ იქნება მოწესრიგებული კოლმეურნეობების მთელი შინაგანი ცხოვრება, მით უფრო ადვილად შეითვისებს კოლმეურნე პროლეტარული დისციპლინის საფუძვლებს, მით უფრო სწრაფად გადაიქცევა იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მშენებლად.

აი ამ ურთიერთობის დროს ჩვენს ქვეყანაში, როცა ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ გვყავს პროლეტარიატის მასივი, როცა სოფლის მეურნეობაში კოლმეურნე წარმოადგენს არა მარტო ცენტრალურ ფიგურას, არამედ აბსოლუტურად გაბატონებულ ელემენტს, როცა მოისპობა კაპიტალისტური ელემენტები და კლასები საერთოდ. მოხდება. „ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლად“ (მე-17 პარტკონფერენციის რეზოლუციიდან).

ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა

სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შეიარაღება მოწინავე სამანქანო ტეხნიკით ნამდვილად ხდიან სასოფლო - სამეურნეო შრომას ინდუსტრიალური შრომის სხვადასხვა სახეობად.

საგზაო ქსელის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საქონლის ბრუნვის, სოფლისა და ქალაქის ყოველგვარი კულტურული კავშირის განვითარება, „ფასების მაკრატლის“ სრული ლიკვიდაცია — ყველაფერი ეს ქმნის პირობებს ქალაქსა და სოფლის შორის არსებულ წინააღმდეგობათა აღმოფხვრისათვის.

„ქალაქში წასვლა“ იყო სოფლად კაპიტალისტური ექსპლოატაციის, მისი გაღატაკების და აგრარული ჭარბი მოსახლეობის შედეგი, ხოლო უკან „სოფლისაკენ ლტოლვა“ — ეს არის სოციალისტური ქალაქის ზეგავლენით სოფლის სოციალისტური განვითარების შედეგი.

ამავე მიმართულებით იმოქმედებს ჩვენი მშენებლობა კომუნალური და საბინაო მშენებლობის დარგში, რაც უშუალოდ გააუმჯობესებს მუშათა და გლეხთა მასების ცხოვრების მატერიალურ პირობებს. ამავე მიმართულებით იმოქმედებს საქონლის ბრუნვის განვითარებაც, საბჭოთა ვაჭრობის გაშლა და საცალო ვაჭრობის გადიდება. ჩვენ ვსწავლობთ და უნდა ვისწავლოთ კიდეც საბჭოთა წესით ვაჭრობა და მხოლოდ ამ საფუძველზე შევძლებთ გავაუქმოთ მშრომელთათვის პროდუქტების ნორმის მიხედვით მიცემა. მაგრამ სოციალიზმის მშენებლობის ამ სტადიაზე ანტიბოლშევიკურ ხასიათს ატარებენ „მემარცხენე“ ფრაზები პროდუქტების პირდაპირ გაცვლაზე გადასვლის შესახებ, ფულის გაუქმების შესახებ.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპის გატარება მთელს სამეურნეო მუშაობაში წარმოადგენს და მეორე ხუთწლედშიაც იქნება უმნიშვნელოვანეს სტიმულად ჩვენს მეურნეობაში არსებულ უდიდეს და ჯერ კიდევ საგრძნობლად გამოუყენებელ იმ შინაგანი რესურსების გამოაშკარავების საქმეში, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალისტური დაგროვების ზრდის დაჩქარებას და ამით განამტკიცებენ მთელი სოციალისტური მშენებლობის მატერიალურ ბაზას.

ყველა ამის შედეგად ჩვენ მივიღებთ საჭირო ბერკეტებს კაპიტალიზმის ნაშთების დასაძლევად ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში. ეს მოხდება მატერიალისტური დიალექტიკის იმ კანონის ძალით, რომელიც განაგრძობს თავის მოქმედებას, რომ „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“. ჩვენი სოციალისტური მდგომარეობა, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა გავლენას მოახდენს ადამიანთა შეგნებაზე და პირიქით — ეს შეგნება იქნება ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურად საბოლოო გარდაქმნის ტემპების დაჩქარების და მისი სრული კომუნიზმისაკენ განვითარების ფაქტორი.

პარტიის როლი და ბრძოლა ოპორტუნიზმთან

ყველა ამას მოვიპოვებთ არა თვითმდინარეობაზე დაყრდნობით, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის არა სტიქიური განვითარების შედეგად, არამედ წინანდებურად ჩვენი პარტიის — პროლეტარიატის და მშრომელთა ავანგარდის მიერ წარმოებულ ბრძოლაში. კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია იწარმოებს კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მეორე ხუთწლედის მთელს მანძილზე ჩვენ უნდა ვივარაუდოთ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მთელ რიგ უბნებსა და ზოგიერთ რაიონებში. კაპიტალისტური ელემენტები, კულაკობა თავის ნებით როდი წავიდან სამარეში, ისინი უნდა ჩავყაროთ ამ სამარეში. მათი წინააღმდეგობის ფორმები იცვლება და მომავალშიაც შეიცვლება. ეს აუცილებლად გამოიწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა შეიჭრება, არა მარტო კოლმეურნეობებში, არამედ ფაბრიკებსა და ქარხნებშიაც. ინდუსტრიალური პროლეტარიატის რიგები ივსება და მომავალშიაც შეივსება იმ კოლმეურნე გლეხებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულან წვრილ ბურჟუაზიული განწყობილებათა ნაშთებისაგან. უმუშევრობის მოსპობა ჩვენში მოასწავებს იმას, რომ მშრომელთა არმიის რიგებში, საბჭოთა დაწესებულებებში, კოოპერაციის და სხვ. ორგანოებში თავი მოიყარა და მომავალშიაც მოიყრის თავს ექსპლოატატორთა ნაწილი, ნეპმანები, ქონება ჩამორთმეული აზნაურები და სხვ., მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები, რომლებიც ჩვენში უმუშევრობის ლიკვიდაციის გამო, უდავოდ წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო, სავაჭრო და სხვ. აპარატის „კანონიერ“ თანამშრომლებს. ბუნებრივია, რომ კულაკური და კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის დროს, რომლებთანაც ეს ფენები დაკავშირებული არიან პოლიტიკურად, ნათესაობით, ან სხვა რაიმე ძაფებით, იქნებიან მათთან მორალურ-პოლიტიკურ კონტაქტში, ადგილი ექნება მავნებლობის ელემენტებს, ისე როგორც კოლმეურნეთა ცალკეულ ჯგუფების კულაკური გახრწნის ცდებს. როდესაც ატკაცუნდება საბოლოოდ განადგურებული კულაკობის ძვლები, ეს აუცილებლად ჰპოვებს გამოხმაურებას კოლმეურნე გლეხობის ზოგიერთ ფენებსა და პროლეტარიატშიაც კი; ბუნებრივი აუცილებლობით ეს გავლენას მოახდენს ზოგიერთ ფენებზედაც ჩვენს პარტიაში, რომლის შევსება ძირითადად მიმდინარეობს პროლეტარიატის და კოლმეურნეთა წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობის ხარჯზე.

კლასობრივ ბრძოლას ექნება ახალი ფორმები, ექნება სხვადასხვა გამოხატულება, მაგრამ ეს იქნება კლასობრივი ბრძოლა რომელსაც შეუძლია გამწვავდეს სხვადასხვა უბნებზე, სხვადასხვა რაიონებში. „მწყობრ“, უდარდელ განვითარებას ჩვენ არ უნდა მოველოდეთ მეორე ხუთწლედშიაც. ამ ანტიპარტიული თვალსაზრისით შეუძლია იხელმძღვანელონ მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტებმა. მემარჯვენე გადახრა რჩება და მეორე ხუთწლედშიაც დარჩება მთავარ საფრთხედ და მასთან ბრძოლა უნდა იყოს შეუწყვეტელი, კლასობრივი სიფხიზლე უნდა იყოს შეუნელებელი.

მაგრამ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ „მემარცხენე“ გადახრისადმიც, რომელსაც შეუძლია გამოიჩინოს აქტიობა კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის დროს. პარტია მტრულ განწყობილებაში რჩება პარტიის გენერალური ხაზიდან ამ გადახრებთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისაგან გადახრებთან.

სახელმწიფოს საკითხი

ბუნებრივი საკითხია: სოციალიზმი მოასწავებს უკლასო საზოგადოებას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო არის საზოგადოების კლასობრივი დაყოფის პროდუქტი, ერთი კლასის მიერ სხვა კლასების ჩახშობის იარაღი. კლასები ისპობიან ჩვენს ქვეყანაში. აქ შეიძლება რომელიმე საბჭოთა მოქალაქე ან რომელიმე კომუნისტს დაებადოს აზრი, ხომ არ დადგა სახელმწიფოს გაუქმების დრო? თუ კლასები ისპობიან, მაშინ სახელმწიფო ხომ არ უნდა გადავცეთ, როგორც ენგელსი ამბობდა, სიძველეთა მუზეუმს კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ? ცხადია, ეს შეუძლებელია მანამდე, სანამ ვლაპარაკობთ დედა-მიწის მხოლოდ ერთი მეექვსედი ნაწილის ხუთწლიან გეგმაზე. ჩვენ ამას ვლაპარაკობთ ძლევამოსილი ოქტომბრის ქვეყნისათვის, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვიმყოფებით კაპიტალისტურ გარემოცვაში, ამიტომ ჩვენი სახელმწიფო —პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო—წარმოადგენს არა მარტო შინაური მტრების, ექსპლოატატორების ჩახშობის იარაღს, არა მარტო უკანასკნელი კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის იარაღს, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური გარემოცვისაგან სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის იარაღს, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გაშლის პლაცდარმს. ამიტომ შეუძლებელია ლაპარაკი ჩვენი სახელმწიფოს, პროლეტარული დიქტატურის რაიმე შესუსტებაზე, რაიმე „გაუქმებაზე“ ეხლანდელ სტადიაში, საჭიროა ამ სახელმწიფოს, პროლეტარული დიქტატურის სისტემის ყველა ნაწილების გაძლიერება. სახელმწიფოს სრული გაუქმებისათვის საჭიროა სრული კომუნიზმი არა მარტო ერთ ქვეყანაში, რომელსაც გარს ახვევიან მტრები. არამედ მთელს მსოფლიოში.

ჩვენი სახელმწიფო ასრულებს მძლავრი ეკონომიური ფაქტორის როლს, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციისა და დაჩქარების ფაქტორის როლს. ამიტომ ჩვენი სახელმწიფო არა თუ რჩება, არამედ იგი უნდა განმტკიცდეს ყოველმხრივ და განმტკიცდეს სწორედ მის მძლავრ სოციალისტურ ბაზაზე—მის ინდუსტრიალურ საფუძველზე. ჩვენი სახელმწიფოსათვის რჩება მეორე ხუთწლედშიაც და მთელ იმ პერიოდშიაც, სანამ არ გაიმარჯვებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია, საშინაო ამოცანები და, განსაკუთრებით, საგარეო ამოცანები. მართალია, ჩვენი სახელმწიფო, როგორც ლენინი ამბობდა, არის უკვე ნახევრად სახელმწიფო, რადგან იგი არსებითად განირჩევა ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან, სადაც ექსპლოატატორთა უმცირესობა გაბატონებულია გაყვლეფილთა დიდ უმრავლესობაზე. ჩვენი სახელმწიფო არის მშრომელთა უზარმაზარი მასის ორგანიზაცია ერთი მუჭა ბურჟუაზიული კაპიტალისტური ელემენტებისა და კულაკობის წინააღმდეგ. ჩვენი სახელმწიფო მომქმედი პროლეტარული დემოკრატიაა, იგი უზრუნველყოფს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, სახელმწიფოს მთელ ბედ-იღბალში. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს გამაგრება, მისი სიმძლავრის განმტკიცება აუცილებელი პირობაა ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის პლაცდარმისათვის, რომლის ნაწილს წარმოადგენს ჩვენი რევოლუცია.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია ა.-კ. საწარმოო ძალთა განაწილების შესახებ

საბჭოთა ამიერ-კავკასია—სოციალიზმის აშენების ხუთწლედში

ამხ. ილიუშინის მოხსენება

— ამხანაგებო! ჩვენმა კონფერენციამ უნდა დაამუშაოს მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალთა განაწილების წინასწარი ვარიანტი. ეს ვარიანტი წარმოადგენს რესპუბლიკანურ და ამიერკავკასიის საგეგმო კომისიების და სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების ხანგრძლივი მუშაობის შედეგს. მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ, ჩვენ უკვე პირდაპირ შევუდექით საწარმოო ძალთა განაწილების სქემის დამუშავებას. მე-17 პარტკონფერენციამ, მეორე ხუთწლედის უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად დასახა კაპიტალისტური ელემენტების და კლასების ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავების წარმომშობი მიზეზების სრული აღმოფხვრა, რასაც თან უნდა ახლდეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა. ამ ამოცანის განხორციელება როგორც აღნიშნა პარტკონფერენციამ, ამოცანის, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია მხოლოდ მთელი სახალხო მეურნეობის გაშლილი ტეხნიკური რეკონსტრუქციის ბაზაზე. პარტკონფერენციის დირექტივების განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის აღმოფხვრის, ნაციონალური რესპუბლიკებისა და მხარეების ჩამორჩენილობის აღმოფხვრის ყველა პირობები. პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებით, კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლით, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის საქმეში მოიპოვა უდიდესი მიღწევები. ჩვენ შევქმენით საკუთარი მსხვილი ინდუსტრია, ჩვენი წვრილი მიწადმოქმედების ქვეყანა გადავაქციეთ ყველაზე მსხვილი, სოციალისტური მიწადმოქმედების ქვეყნად.

საწარმოო ძალთა განაწილება და მარქსისტულ - ლენინური პრინციპები

მე-17 პარტკონფერენციის და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ჩვენს წინაშე აყენებენ მეორე ხუთწლედში საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების და განაწილების საკითხებს. საჭიროა ამ საკითხში ჩვენ გვქონდეს ყველაზე მეტი გარკვეულობა, რადგან დღემდე ამ დარგში ადგილი ჰქონდა და აქვს ზოგიერთ ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ, არსებითად ბურჟუაზიულ-რესტავრატორულ თეორიასა და პრაქტიკას (ვებერი, ბერნშტეინ - კოგანი, გინზბურგი და სხვ. ბურჟუაზიული მეცნიერება). ეს მავნებლურ - ბურჟუაზიული თეორიები საწარმოო ძალთა განაწილების შესახებ, აიგივებენ კაპიტალისტურ და სოციალისტურ მეურნეობას და ცდილობენ საწარმოო ძალთა განაწილების ბურჟუაზიული მეთოდოლოგია საფუძვლად დაუდონ სოციალისტურ, გეგმიან მეურნეობაში საწარმოო ძალთა განაწილებას. ეს თეორიები საწარმოო ძალთა განაწილების საკითხს მთლიანად უკავშირებენ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ-ტეხნ. ფაქტორებს, აცილებენ ეკონომიკას პოლიტიკისაგან და ცდილობენ, წარმოგვიდგინონ თავიანთი მოსაზრებანი „ზეისტორიულად" ყოველგვარი საზოგადოებრივი ფორმაციის გარეშე. ამ თეორიების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები აყენებენ საწარმოო ძალთა განაწილების მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. ეს პრინციპები გამომდინარეობენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა გაფართოებული რეპროდუქციის ამოცანებისაგან, საბჭოთა კავშირის ყველა შრომითი და ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების ამოცანებისაგან. საწარმოო ძალთა განაწილების მარქსისტულ - ლენინური თეორია გულისხმობს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდებას, წარმოებასა და ბრუნვაში არაშრომითი დანახარჯების შემცირებას, სოციალისტური დაგროვების უზრუნველყოფას, ქალაქის და სოფლის წინააღმდეგობის აღმოფხვრას და ცალკე რაიონების საწარმოო ძალების განვითარებას მათ ბუნებრივ პირობებთან და მთელი კავშირის სახალხო მეურნეობასთან [illegible]. ეს უზრუნველჰყოფს მსხვილი ენერგოსამრეწველო და ენერგოსატრანსპორტო კომბინატების შექმნას და ბუნებრივი სიმდიდრეების კომპლექსურ გამოყენებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ურალ - კუზბასის კომბინატი, რომელიც ნამდვილი სოციალისტური ტიპის წარმოებაა.

პირველ ხუთწლედს წარმატებით ვამთავრებთ

ამიერ - კავკასიაში ჩვენ გაგვაჩნია უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები. მოკლედ შევჩერდები ზოგიერთ მათგანზე. ამიერკავკასიას გააჩნია ნავთის მსოფლიო მარაგის 20 და საკავშირო მარაგის 90 პროცენტი. ჩვენ გვაქვს საკავშირო ჰიდროენერგეტიული რესურსების 10 პროცენტი. ჩვენს მარგანეცს, მარგანეცის საკავშირო მარაგში უკავია 90 პროცენტი. ჩვენ გაგვაჩნია ფერადი ლითონების უდიდესი საბადოები: სპილენძი, — 1.000.000 ტონაზე მეტი, ტყვია, კალა და სხვ. ძვირფასი ლითონები, რომლებიც იშვიათად გვხვდებიან საბჭოთა კავშირის დანარჩენ რაიონებში. ჩვენ გვაქვს საკუთარი მეტალურგიული მრეწველობის განვითარების ყველა შესაძლებლობანი. დაშკესანის მადნები, შავი ზღვის მაგნეტური სილა, ტყვარჩელის და ტყიბულის საკოქსე ქვანახშირი და სხვ. ამიერ-კავკასიის ბუნებრივი, კლიმატიური და სანიადაგო პირობები ქმნიან ტეხნიკური სპეციალური და სუბტროპიკული კულტურების (ბამბა, ჩაი, თამბაქო, რამი; ციტრუსოვანი კულტურები, პროდუქტიული მესაქონლეობა). ფართოდ განვითარების ყველა პირობებს, ყველა ეს სიმდიდრეები ჩვენ დღემდე ვერ გამოვიყენეთ მთლიანად. ცარიზმის პირობებში ეს სიმდიდრეები წარმოადგენდნენ ყაჩაღური ექსპლოატაციის და კოლონიალური ზემოგების ობიექტებს.

ეს მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების მთლიანად შესწავლა და გამოყენება.

ამიერ - კავკასიის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, პირველი ხუთწლედის ფრონტზე მოიპოვეს უდიდესი მიღწევები. კერძოდ, ნავთის მრეწველობის დარგში. ხუთწლიანი გეგმა ჩვენ შევასრულეთ 2 ნახევარ წელში. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია 1.194 ათასი მანეთიდან (1928 წ.) გაიზარდა 2.484 მილიონ მანეთამდე (1932 წ.). ჩვენ უკვე გავხდით ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად. თუ 1928 წელს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 54,8 პროცენტს, ხუთწლედის დასასრულისათვის იგი აღწევს 71 პროცენტს. შეიცვალა ა.-კ. ენერგეტიულ მეურნეობის სახე. ხუთწლედის დასაწყისში ჩვენ გვქონდა 118 ათასი კილოვატი სიმძლავრის დადგმულობა, 1932 წლის დასასრულს კი ეს რიცხვი გაიზრდება 293,8 ათასამდე. სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: სათესი ფართობი 2131 ათას ჰექტარიდან, პირველი ხუთწლედის დასასრულს მიაღწევს 2631 ათას ჰექტარს. ჩვენ წელს დავამთავრებთ კოლექტივიზაციას მებამბეობის რაიონებში. 32 წლის დასასრულს ა-კავკასიაში კოლექტივიზაციაქმნილი იქნება წვრილი გლეხური მეურნეობის 50 პროცენტი. ყველა ეს მიღწევები ხუთწლედის ფრონტზე, არის პირველი ნაბიჯი ჩვენ უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენების გზაზე.

საწარმოო ძალთა განაწილება — დაუქვემდებაროთ სოციალიზმის აგების ამოცანებს

საწარმოო ძალთა განაწილების სქემის შემუშავების დროს ჩვენ გამოვდივართ ამ.-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის ტემპების შემდგომი ზრდის მომენტიდან. აქ ჩვენ ვითვალისწინებთ: ა-კ. მთელი სახ. მეურნეობისათვის ახალი ენერგეტიული ბაზის შექმნას და ა-კ. ეკონომიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას. მეორე ხუთწლედის დასასრულს ამიერ-კავკასიის ეკონომიური პროფილი უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ იგი წარმოადგენდეს სათბობის. უპირველეს ყოვლისა, ნავთის უმთავრეს რაიონს, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიის, ელექტროფოლადის წარმოების და ძვირფასი ტეხნიკური კულტურების რაიონს. ამ-კავკ. უნდა გადაიქცეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტების რაიონად. ამ მომენტების გათვალისწინებით, სამხარეო კომიტეტის პლენუმის დირექტივების საფუძველზე, ჩვენ დავამუშავეთ საწარმოო ძალთა განაწილების სქემა.

ამხ. პარჯიანი

საკ. საგეგმო კომისიის წყლის მეურნეობის ჯგუფის ხელმძღვანელი

ელექტროფიკაციის დარგში ჩვენ ამოცანად დავისახეთ არსებული წყლის რესურსების მაქსიმალური გამოყენება, მათი ენერგეტიულ-ირიგაციული მიზნებით კომპლექსური გამოყენების გზით. ეს საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ მთელი სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. 1937 წლისათვის განზრახულია ელექტროდადგმულობათა სიმძლავრე გაიზარდოს 1,6 მილიონი კილოვატამდე. რესპუბლიკების მიხედვით ეს შეადგენს: აზერბეიჯანში — 632 ათას კილოვატს, საქართველოში — 560 ათას კილოვატს და სომხეთში — 450 ათას კილოვატს. გეგმით, ელექტროენერგიის გამომუშავება 1932 წლის 1.110 ათასი კილოვატიდან, 1937 წელს მიაღწევს 8.100 ათას კილოვატ-საათს. ელექტროსადგურების ძირითადი ქსელი 1937 წლის დასასრულს ასეთი იქნება: ძორაჰესი, რიონჰესი, ქანაქერჰესი, აწჰესი, ხრამჰესი, კახსიგიუმუშის სადგური, ტყვარჩელის თბოცენტრალი, განჯის, ტერტერის, მინგეჩაურის, ალაზნის, სევანოზანგესის სადგურები, კოდორჰესი, სამგორჰესი და სხვა. მეორე ხუთწლედში ელექტრომშენებლობის გაშლა ეფარდება მეურნეობის სხვა დარგებში საწარმოო ძალთა განვითარებას. მარტო მრეწველობა მოიხმარს ხუთნახევარ მილიარდ კილოვატ-საათს აქედან მოიხმარს: ალუმინის მრეწველობა ერთ მილ. კილოვატ საათს, ნავთის ერთ მილიარდს, ფეროსილიციუმის და აზოტის 2 მილიარდს, ტრანსპორტი 650 მილიონ კილოვატ საათს, სოფლის მეურნეობა 670 მილიონს და კომუნალური მეურნეობა 830 მილიონ კილოვატ საათს.

ნავთი, ქვანახშირი, მეტალურგია

წიაღეულის მდიდარი რესურსების საფუძველზე მეორე ხუთწლედში ჩვენ ფართოდ ვანვითარებთ მრეწველობის ყველა დარგებს და განსაკუთრებით ნავთის მრეწველობას. ნავთის ამოღება 1937 წელს, „აზნავთი"-ს სარეწაოებზე მიაღწევს 40 მილიონ ტონას, ხოლო საქართველოში — 4—5 მილიონ ტონას. უდიდეს როლს ითამაშებს ჩვენში ქვანახშირის და მეტალურგიული მრეწველობა. ქვანახშირის მრეწველობამ მეორე ხუთწლედში მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება ამ სათბობზე. ამასთან დაკავშირებით განზრახულია 1937 წლისათვის ქვანახშირის ამოღება გადიდდეს 5 მილიონ ტონამდე. (ტყიბული, ტყვარჩელი, ახალციხის საბადოები) ქვანახშირის ბაზის არსებობა უზრუნველყოფს მეტალურგიული მრეწველობის გაშლას. პირველ რიგში ეს ეხება დაშკესანის მადნის და ტყვარჩელის საკოქსე ქვანახშირის საფუძველზე დაშკესანის მეტალურგიული ქარხნის აგებას. ამ ქარხნის მშენებლობას ჩვენ შევუდგებით 1933 წელში იმგვარად, რომ 1935 წლისათვის მოვახერხოთ მისი ამუშავება. ჩვენს წინაშე სდგას მეორე ხუთწლედში ოჩემჩირის ქარხნის აგების ამოცანა. 1932 წელში დამთავრდება ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა, რომელიც მოგვცემს 50 ათას ტონას, მეორე ხუთწლედში ჩვენ შევქმნით ფერომშენადნობების მძლავრ კომბინატს, რომელშიაც შევლენ: ფერომარგანეცის ქარხანა — 150 ათასი ტონის, ფეროსილიციუმის ქარხანა — 40 ათასი ტ. ფეროქრომის ქარხანა — 4 ათასი ტ. ფერო-მოლიბდენის — 0,3 ტ., მარგანეციანი ფოლადის სამჭრო — 50 ათასი ტ. და მარგანეცის საგლომერაციო ქარხანა — 4 ათასი ტონის პროდუქციით. მე-2 ხუთწლედში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ფერადი მეტალურგიის განვითარებას. განჯაში შეიქმნება ალუნიტების კომბინატი 150 ათასი ტონის პროდუქციით და სპილენძის პროდუქცია გაიზრდება 50 ათას ტონამდე.

ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობა ყურადღების ცენტრში

განსაკუთრებულ ადგილს მეორე ხუთწლედში იჭერს ქიმია. ქიმიური მრეწველობის განვითარების ბაზას დღეს ჩვენში წარმოადგენს იაფი ელექტროენერგია და მინერალური ნედლეული: ნავთის, ფერადი და შავი მეტალურგიის დანაკარგები. ქიმიური მრეწველობა გაიშლება ისეთი მასშტაბით, რომ დააკმაყოფილოს ნავთის მრეწველობის მოთხოვნილება და მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში ტეხნიკური კულტურების ნათესი ფართობის სრულ ქიმიზაციას. მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილება 1937 წელს მიაღწევს 917 ათას ტონას.

მანქანათმშენებლობა მეორე ხუთწლედის განსაკუთრებული დარგია. სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბაქოში აიგება [illegible] ახალი ქარხანა. განზრახულია თბილისში მანქანათმშენებელი ქარხნის აგება, რომელიც დაამზადებს მოწყობილობას აბრეშუმის, ჩაის და საქსოვი მრეწველობისათვის. მოხდება ურენის ქარხნის სრული რეკონსტრუქცია და იგი გადაკეთდება საკონსერვო მანქანათმშენებლობის ქარხნად. სამთომრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განზრახულია თბილისში სამთო მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნის აგება. თბილისში და ბაქოში მსხვილ მეტალურგიულ მრეწველობის გაშლასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე დგება ამ ქალაქებში თუჯის და ფოლადის ჩამოსასხმელი ქარხნების აგების აუცილებლობის ამოცანა. ჩვენ გვაქვს საშენებლო მასალების წარმოების გაშლის უდიდესი შესაძლებლობანი. ცემენტის ქარხნების საერთო პროდუქცია 1937 წელს მიაღწევს 7,4 მილიონ კასრს, 1932 წლის — 1.860 ათასი კასრის წინააღმდეგ. ასევე გაიზრდება არკტიკის ტუფის წარმოება, ხეტყის გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდი პერსპექტივები. მსუბუქი მრეწველობის ტემპები მეორე ხუთწლედში სწრაფად დაჩქარდება. გაიშლება ბამბეულის და საფეიქრო მრეწველობა და კვების ინდუსტრია. 1937 წლისათვის განზრახულია 2,2 მილიონი ცენტნერი თევზის დაჭერა. საკონსერვო მრეწველობის მიერ 300 მილიონი ქილა კონსერვის გამოშვება, რაც ამ დარგის 6-ჯერ გაზრდას ნიშნავს. მთელი კვების მრეწველობის პროდუქცია 1937 წელს მიაღწევს 1.300 მილიონ მანეთს. 1932 წლის 232 მილიონის ნაცვლად.

ა.-კ. მრეწველობა—1937 წელს

მთელი მრეწველობის საერთო განვითარების მხრივ ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს: თუ მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქცია 1932 წელში უდრის 960 მილიონ მანეთს, 1937 წელში იგი გაიზრდება 3-ჯერ და მიაღწევს 2.915 მილიონ მანეთს. მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 26 მილიონ მანეთიდან გაიზრდება 100 მილიონ მანეთამდე. მთელი მრეწველობის პროდუქცია ერთად (მძიმე, მსუბუქი, ხე-ტყის და კვების) 1932 წლის 1.470 მილიონი მანეთის ნაცვლად, 1937 წელს გაიზრდება 5.970 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 4-ჯერ. ასეთია ჩვენი გეგმები მრეწველობის დარგში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანები სდგას ტრანსპორტის დარგში. განზრახულია ახალი სარკინიგზო მშენებლობის გაშლა 1.600 კილომეტრის მანძილზე, შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის მშენებლობის დამთავრება, კავკასიონის საუღელტეხილო გზის გაყვანა და, უმთავრეს კვანძებზე საელექტროფიკაციო სამუშაოთა დამთავრება. მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წყლის და ურემლო ტრანსპორტს და ბაქოში აიგება გემთსაამშენებლო ქარხანა. ურემლო ტრანსპორტის ფართოდ განვითარება ჩვენს წინაშე აყენებს ავტოშემკრები ქარხნის აგების ამოცანას.

გადავაქციოთ ა. კ. — ტეხნიკური კულტურების რაიონად

გადავდივარ სოფლის მეურნეობის საკითხებზე. სპეციალიზაციამ სოფლის მეურნეობის დარგში უნდა უზრუნველყოს, ამიერკავკასიის როლის გადიდება საკავშირო შრომის განაწილების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტეხნიკურ, სუბტროპიკულ კულტურებს, მევენახეობას, და პროდუქტიულ მესაქონლეობას. სათესი ფართობის შემდგომი გადიდება მოითხოვს საირიგაციო სისტემის რეკონსტრუქციას და ა.-კ. წყლის რესურსების ენერგო-ირიგაციულ კომბინატების სახით გამოყენებას. აქ ცენტრალური ამოცანაა — მთელი წყლის მეურნეობის გადაჭრით გარდაქმნა და წყლის რესურსების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენება. მეორე ხუთწლედში პრაქტიკულად უნდა გადაიჭრას უდიდესი ენერგო-ირიგაციული პრობლემები: სევანო-ზანგისის, მინგეჩაურის, ხრამის, სამგორის, ტერტერის და სხვ. წყალთა მეურნეობის გეგმა გულისხმობს ტერტერის, იორის, მტკვარ-არაქსის ბასეინის და სევანის ტბის წყლის სრულ, ჰიდროენერგეტიულ გამოყენებას. ამგვარად ჩვენ ვაყენებთ უდიდეს ამოცანებს საირიგაციო სამუშაოების დარგში. საერთო ნათესების ფართობი 1937 წელს ა.-კ. მიაღწევს 3.800 ათას ჰექტარს, 1932 წლის 2.600 ათასი ჰექტარის წინააღმდეგ. გაიზრდება ბამბის ნათესების ფართობი და იგი მიაღწევს 700 ათას ჰექტარს. ნათესების ფართობი მიაღწევს: რამის — 100.100 ჰექტარს, თამბაქოს 60.000 ჰექტარს, ჩაის — 100.100 ჰექტარს, ციტრუსოვანი კულტურების — 30 ათას ჰექტარს, კაუჩუკის — 15 ათას ჰექტარს.

საწარმოო ძალთა განაწილების საკითხის განხილვის დროს, განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ შრომის საკითხზე. ჩვენი ამოცანაა: ქვეყნის ყველა შრომითი რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია, მათი ორგანიზაციულ გეგმიანი განაწილება, შრომის სწორი ორგანიზაცია და მუშა-ძალის სწორად განაწილება, კვალიფიციური კადრების და სპეციალისტების მომზადება.

ა.-კ. საწარმოო ძალთა განაწილების ეს მასალები, რომელიც კონფერენციაზეა წარმოდგენილი შეიცავენ მხოლოდ მეურნეობის უმთავრეს დარგებს. ეს ციფრები ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ დაზუსტებული და მიღებული. მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მუშაობის ასეთი ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომ მივაღწიოთ ამ მხრივ არსებულ ყველა შესაძლებლობათა სრულ გამოყენებას. ხარისხობრივი მაჩვენებლების გარეშე წარმოუდგენელია მეორე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონლის ბრუნვის გაშლას, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, ტეხნიკის დაუფლებას. ახალი ტეხნიკის დაუფლება მეორე ხუთწლედის კარდინალური საკითხია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ტეხნიკის დაუფლებას გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მეორე ხუთწლედის დიდი ამოცანების განხორციელებას. რამოდენიმე სიტყვით შევჩერდები საკითხზე მეცნიერების შესახებ. დღეს, როგორც არასოდეს, მეცნიერების მუშაობა მთლიანად და სავსებით უნდა დაექვემდებაროს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ინტერესებს. მეცნიერებას დღეს განსაკუთრებული როლი ენიჭება. დაწყებული პატარა ლაბორატორიიდან და გათავებული უდიდესი სამეცნიერო ინსტიტუტებით და დაწესებულებებით, ყველანი უნდა ემსახურონ სოციალიზმის აგების საქმეს.

კომპარტიის ხელმძღვანელობით წინ—სოციალისტური საზოგადოებისაკენ

მეორე ხუთწლედის მაჩვენებლების შემუშავების საქმეში ჩვენ უნდა ჩავაბათ მშრომელთა მილიონები. ამას ჩვენ უნდა შევუდგეთ ეხლავე მუშაობის პირველ სტადიაზე. ხუთწლიანი გეგმის დამუშავება უნდა გადავაქციოთ მშრომელთა მილიონების საქმედ. ეს გეგმა უნდა განიხილოს თვითეულმა ქარხანამ, ფაბრიკამ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სამეცნიერო ინსტიტუტებმა, ტეხნიკებმა, ინჟენერებმა და მუშათა ფართო მასებმა, რომ ავამოძრაოთ მათი შემოქმედებითი ენტუზიაზმი და გავითვალისწინოთ ყველა შესაძლებლობანი.

სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედში, მეორე ხუთწლედში, აუცილებელია ამა თუ იმ რაიონში და ამა თუ იმ უბანზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. კლასიური მტრების წინააღმდეგობას ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მილიონების რევოლიუციონური ნებისყოფა, გადამჭრელი ბრძოლა ვაწარმოოთ მემარჯვენე ოპორტუნიზმის და „მემარცხენე" ნახტომების წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარებისათვის. ჩვენს ბრწყინვალე გამარჯვებებს მომავალშიაც უზრუნველყოფს პარტიის გენერალური ხაზის სწორი გატარება, ამხ. სტალინის მეთაურობით და ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით.

კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა მუშათა კლასი გამარჯვებამდე ოქტომბრისათვის ბრძოლაში კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ გავიმარჯვეთ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის ფრონტზე. კომპარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი ააგებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

ა.-კავკასიის ფედერაციის შესახებ

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეხოთ საკითხს ა.-კ. ფედერაციის შესახებ. ა.-კ. ფსსრ—ეს არის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერატიული სახელმწიფო. იგი წარმოადგენს არა თუ ამიერ-კავკასიის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების, არამედ სოციალისტური თანამშრომლობის ნიმუშს, მათი ძალღონის გაერთიანების მაგალითს საწარმოო ძალთა სოციალისტური განვითარებისა და ამ საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში ყველა კლასების ლიკვიდაციის საქმეში. ჩვენ ამას წინად ვიდღესასწაულეთ ამ ფედერაციის 10 წლის თავი. ამ ფაქტზე, რომ ეს ფედერაცია არ არის შემთხვევითი მოვლენა, მიუთითებს ჩვენი პარტიის ისტორია და მისი პროგრამა. ჩვენ არ ვყოფილვართ „ფედერალისტები" თვითმპყრობელობის დამხობამდე. ჩვენ პარტიაში არ ვყოფილვართ ფედერალისტები და არ წარმოვადგენთ ფედერალისტებს. ჩვენი პარტია მოწყობილია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მიხედვით.

ჩვენ სავსებით, თანმიმდევრობით ვლაპარაკობდით თვითგამორკვევის უფლებაზე ყველა ხალხებისათვის თვით სახელმწიფოებრივად გამოყოფამდეც კი. მაგრამ მხოლოდ ცარიზმის დასამხობად ჩვენ აბსოლუტურად მიგვაჩნდა რევოლუციონური შეტევის მთლიანობა, ფედერაცია კი გამარჯვებამდე მოასუსტებდა რევოლუციის ძალთა ლაშქარს, მაშინ, როდესაც საჭირო იყო ერთი შემტევი კოლონა. მარქსისტები ფედერაციას იხილავდნენ ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით, როგორც გარდამავალ ფორმას სრული მთლიანობისაკენ.

ჩვენი ლენინური პარტიაც. ნამდვილი მარქსიზმის პარტიაც, სწორედ ასე მიუდგა ფედერაციის საკითხს. იგი ფედერაციას უყურებს, როგორც ერთ-ერთ ფორმას სრული მთლიანობის გზაზე გადასასვლელად. მან ოქტომბრის პირველსავე დეკრეტებში გამოაცხადა, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება, როგორც თავისუფალი ხალხების თავისუფალი ფედერაცია. პარტიის მე-8 ყრილობაზე მიღებულ პროგრამაშიაც მან წამოაყენა საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილ სახელმწიფოთა ფედერატიული გაერთიანების პროექტი, როგორც ერთ-ერთი გარდამავალი ფორმათაგანი სრულ მთლიანობაზე.

კომინტერნის მე-2 კონგრესისათვის ლენინის მიერ ნაციონალურ-კოლონიალურ საკითხის შესახებ წარდგენილი თეზისების თავდაპირველ შავში ნათქვამია, რომ „ფედერაცია წარმოადგენს სხვადასხვა ნაციების მშრომელთა სრულ მთლიანობაზე გადასვლის ფორმას, ფედერაციამ უკვე პრაქტიკულად გამოაშკარავა თავისი მიზანშეწონილობა როგორც რუსეთის სფსრ-ისა და დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკების—უნგრეთის, ფინეთისა და ლატვიის მიმართ წარსულში, აზერბეიჯანის და უკრაინის მიმართ აწმყოში, ისე რუსეთის სფსრ-ის შიგნითაც იმ ერების მიმართ, რომლებიც წინად სახელმწიფოებრივად არ არსებობდნენ და რომელთაც არ მოიპოვებოდათ ავტონომია, მაგალითად: ბაშკირეთი, თათართა რესპუბლიკა რუსეთის სფსრ-ში, რომელთა დაარსება მოხდა 1919-20 წლებში".

მეორე თეზისში ლენინი სწერდა, „კომინტერნის ამოცანა ამ მხრივ იმას შეიცავს, რომ შემდგომ განვავითაროთ, შევისწავლოთ და თვით გამოცდილებით შევამოწმოთ ეს ახალი, საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა გაერთიანების საფუძველზე წარმოშობილი ფედერაციები. ფედერაციის სრულ გაერთიანებაზე გადასასვლელ ფორმად აღიარებასთან ერთად, საჭიროა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მეტი მჭიდრო ფედერატიული კავშირისაკენ, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ჯერ ერთი, იმის შეუძლებლობა, რომ იმ საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებიც გარშემორტყმული არიან სამხედრო თვალსაზრისით შეუდარებლად მაქსიმალურად ძლიერი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ, შეინარჩუნონ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებთან უფრო მჭიდრო კავშირის გარეშე, მეორედ ის, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიური კავშირი,—ურომლისოდაც შეუძლებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მესამედ—ტენდენცია იქითკენ, რომ შეიქმნას ყველა ერების პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ერთიანი, საერთო გეგმის მიხედვით მოწყობილი, მსოფლიო მეურნეობა, როგორც მთელი, როგორიც ტენდენციამაც სრულიად გარკვეულად იჩინა თავი უკვე კაპიტალიზმის დროს და რომელიც აუცილებლად უნდა იქნას შემდგომ განვითარებული და სავსებით დამთავრებული სოციალიზმის დროს".

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, შეიძლება სრულიად თამამად ითქვას, გახდა თავისებურ საცდელ მინდვრად მარქსიზმ-ლენინიზმის ამ ძირითადი დებულების შესამოწმებლად, მან დაამტკიცა ამ მხრივ მთელი თავისი მიზანშეწონილობა. მისმა 10 წლის არსებობამ და განვითარებამ დაამტკიცა ლენინის დებულებათა სისწორე.

ა-კ. ფედერაცია წარმოადგენს ამიერკავკასიის მშრომელთა სახელმწიფოებრივ კავშირს, იგი არის საკავშირო სახელმწიფო. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ფედერაციას შეუძლია და უნდა წარმოადგენდეს კიდეც [illegible] ერთიანობას, საერთო ნებისყოფის ორგანოს, სოც. მშენებლობის მთლიანობის ორგანოს ერთიანი გეგმის მიხედვით. ლენინი აღიარებდა, რომ საბჭოთა ფედერაცია წარმოადგენს მისასვლელ საფეხურს დემოკრატიულ ცენტრალიზმთან.

თავის წერილში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" (ტ. 22, გვ. 415-16) ლენინი სწერდა:

„ფედერაცია, თუ იგი გატარებულია ეკონომიური თვალსაზრისით გონივრულ ფარგლებში, თუ იგი ემყარება სერიოზულ ნაციონალურ სხვადასხვაობას, რაც ნამდვილად იწვევს სახელმწიფოებრივად ერთგვარი გამოცალკევების საჭიროებას, ასეთი ფედერაცია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს. მეტად ხშირად, ფედერაცია ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დროს, მით უმეტეს სახელმწიფოებრივი წყობილების საბჭოთა სისტემის მიხედვით ორგანიზაციის დროს, წარმოადგენს მხოლოდ გადასასვლელ ნაბიჯს ნამდვილ დემოკრატიული ცენტრალიზმისაკენ".

შემდეგ ლენინი სწერდა:

„არ არის რა იმაზე უფრო შემცდარი, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის აღრევა ბიუროკრატიზმსა და შაბლონიზაციაში. ჩვენს ამოცანას შეადგენს ამჟამად გავატაროთ სწრაფად დემოკრატიული ცენტრალიზმი მეურნეობათა დარგში, უზრუნველვყოთ აბსოლუტური სიმწყობრე და გაერთიანება ისეთი ეკონომიური საწარმოების მუშაობაში, როგორიც არის რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი და ტრანსპორტის დანარჩენი საშუალებები და სხვ., ამავე დროს კი ცენტრალიზმი ნამდვილი დემოკრატიული აზრით გაგებული გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ არა მარტო ადგილობრივ თავისებურებათა სრულ და დაუბრკოლებელ განვითარების შესაძლებლობას, არამედ ადგილობრივი ინიციატივის, თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, გზების სხვადასხვაობის, საერთო მიზნისაკენ სწრაფვის ხერხისა და საშუალებათა სრული და შეუფერხებელი განვითარების შესაძლებლობასაც... ამ გადასვლის (სოციალიზმში) კონკრეტული პირობები და ფორმები წარმოადგენენ და კიდეც უნდა იყვნენ მრავალფეროვანნი იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც იწყება სოციალიზმის შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა. ადგილობრივმა განსხვავებამ და ეკონომიური ვითარების თავისებურებამ, საყოფაცხოვრებო ფორმებმა, მოსახლეობის მომზადების ხარისხმა და ამა თუ იმ გეგმის განხორციელების ცდებმა — ყველა ამან გავლენა უნდა მოახდინოს სოციალიზმის თავისებურ გზაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ შრომის კომუნაში. რამდენად მეტი იქნება ასეთი მრავალფეროვნება,—რასაკვირველია, თუ ის არ გადავა ორიგინალობაში, მით უფრო ნამდვილად და უფრო ჩქარა იქნება უზრუნველყოფილი, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის, მიღწევა ჩვენს მიერ, ისე სოციალისტური მეურნეობის განხორციელება".

ამიერ - კავკასიის ფედერაცია წარმოიშვა ამხ. ლენინის, სტალინის და ორჯონიკიძის ინიციატივით, ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის თაოსნობით ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით, მისი არსებობის და განვითარების ათი წლის თავი არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორის ერთ-ერთი აშკარად დამადასტურებელი საბუთი. ამიერ-კავკასიის ორგანოებს შეუძლიათ და კიდეც უნდა იმუშაონ ლენინის მიერ ნაჩვენებ მიმართულებით. ჩვენს მუშაობაში დემოკრატიზმი და ცენტრალიზმი დაკავშირებულ უნდა იქნან ერთმანეთთან, დიალექტიურად. ხოლო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინანდელმა ხელმძღვანელობამ ბიუროკრატიულად გააწყვეტა ეს მთლიანობა. იგი მეტ ყურადღებას აქცევდა ცენტრალიზმს, რის შედეგადაც მივიღეთ რესპუბლიკანურ ორგანოების გაუპიროვნება ამიერ-კავკასიის ორგანოების გადატვირთვასთან ერთად. ეს უდიდესი შეცდომა და გამრუდებაა ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში. მაგრამ ისეთივე შეცდომა იქნებოდა ეხლა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დემოკრატიზმს და ყველაფრის დეცენტრალიზაციაზე, ცდები—გადაგვეტანა მუშაობის სიმძიმის ცენტრი რესპუბლიკებში. ესეც დაუშვებელია. ნაციონალ - უკლონისტები ცდილობდნენ გაეტარებიათ თავიანთი ხაზი, რომ „ცოცხალ ორგანიზმებს" წარმოადგენენ მხოლოდ რესპუბლიკები, ხოლო ამიერ-კავკასიის ფედერაცია ისეთ—ერთგვარ შემათანხმებელ და მომრიგებელ ორგანოს, რომელსაც არა აქვს „იმპერიუმი".

ჩვენ მომავალშიაც უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც ნაციონალურ საკითხში მთავარი საფრთხის და ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობს სეპარატიზმს, ინტერვენციას, მენშევიკებს, დაშნაკელებს და მუსავატელებს. ჩვენ შემდეგშიაც გამანადგურებელი პასუხი უნდა გავცეთ ნაციონალურ რესპუბლიკების, ნაციონალური დაწესებულებების თითქმის თვით ნაციის „გაუქმების" ცდებს იმ საბაბით, რომ ჩვენ ვაშენებთ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას და, მაშასადამე, რა საჭიროა ნაცია, ნაციონალური დაწესებულებები, ნაციონალური ენები, და თვით ნაციონალური საკითხი! ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში მე-16 ყრილობაზე გადაგვიშალა „მცოცავი" გადახრების ამომწურავი სურათი ნაციონალურ საკითხში, მათი ხასიათი და მათთან ბრძოლის საჭიროება. ეს ბრძოლა სავალდებულოდ რჩება მეორე ხუთწლედშიაც. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს პირობებში მემარჯვენე გადახრა ხშირად ეფარება ნაციონალურ საკითხს — მემარჯვენე ნაციონალისტური გადახრა ჩანასახშივე უნდა იქნას განადგურებული.

სოციალიზმის შეერთებულად მშენებლობის, ამ მშენებლობის და თავიანთი კომუნისტური მომავალის საერთო თავდაცვის დროს ამიერ-კავკასიის ხალხები უახლოვდებიან ერთი მეორეს თავიანთი ფედერაციის, თავიანთი საკავშირო სახელმწიფოს გუმბათის ქვეშ. ეს სახელმწიფო გაიზიარებს საერთოდ სახელმწიფოს ბედს. იგი „გაუქმებულ" იქნება მხოლოდ მთელს მსოფლიოში სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ, გახდება რა მსოფლიო საბჭოთა ფედერაციის რგოლად პროლეტარიატის დიქტატურის დროს გამარჯვებული ოქტომბრის ქვეყნებში.

მეორე ხუთწლედშიაც, რამდენადაც ჩვენ დავრჩებით კაპიტალისტურ გარემოცვაში, ამიერ - კავკასიის ფედერაცია ითამაშებს სოციალისტური მშენებლობის ბერკეტის როლს ერთა შორის სრული მშვიდობიანობის ატმოსფეროში, იგი იქნება ისეთ ორგანოდ, რომელშიაც ნაციონალური განსხვავება, რომელიც ლენინის სიტყვით, დარჩება „ჯერ კიდევ დიდხანს, სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგაც კი", გადაიქცევა არა გათიშვის, არამედ სულ უფრო მეტად დაახლოვების წყაროდ სოციალიზმის საერთოდ მშენებლობის ნიადაგზე. ა-კ. ფედერაცია მომავალშიაც ითამაშებს მშრომელთა მასების ინტერნაციონალურად აღზრდისათვის საჭირო იარაღის როლს, ვინაიდან ამ მასების ცალკეულ ნაწილებს შორის ჯერ კიდევ ექნება ადგილი ნაციონალურ ცრუმორწმუნეობას და ნაციონალიზმის ნაშთებს, რომლებიც პირობებისა და გარემოების მიხედვით, იჩენენ თავს ამა თუ იმ ფორმაში. კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში. ბუნებრივად, გამოიწვევს ნაციონალიზმის ნაშთების გადალახვასაც. ამიტომ ამიერ - კავკასიის ფედერაციის, მისი მუშაობის შემდგომი განმტკიცება ა.-კ.-ის ხალხთა შორის ფაქტიური უთანასწორობის აღმოფხვრისათვის, განსაკუთრებით კი ნაციონალურ უმცირესობათა და შედარებით ჩამორჩენილ ხალხთა უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა წარმოადგენს ამიერ - კავკასიის კომუნისტების გადაუდებელ ამოცანას.

(დასასრული ხვალ)

მთლიანად გამოვიყენოთ ა.-კ. ენერგეტიული რესურსები

ამხ. ბ. ჩიჩინაძის მოხსენება

ელექტროფიკაცია მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ბერკეტია

— სანამ მოხსენების არსებით ნაწილზე გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო, რომ მასალები და ციფრები, რომლებიც ჩემს მოხსენებაშია მოცემული, არ არიან საბოლოოდ დაზუსტებული. ეს არის სავარაუდო ციფრები, რომლებიც იძლევიან ენერგორესურსების მარაგის საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარების პერსპექტივებს და, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ დამუშავებას და დაზუსტებას მუშაობის მომავალ სტადიაზე. ქვეყნის ელექტროფიკაცია—ეს არის ენერგიის გამოყენების ყველაზე რაციონალური ფორმა. ელექტროფიკაცია გადამჭრელ გავლენას ახდენს მრეწველობის ყველა დარგებზე. ელექტროფიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს სახალხო მეურნეობის, სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რომელიც საბჭოთა ამ.-კავკასიას გააჩნია ჩვენ გვაძლევენ ელექტრომშენებლობის ფართოდ გაშლის შესაძლებლობას. წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხაზით, და ყოფა-ცხოვრებაში ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვის შესაძლებლობას. ჩვენ გვეძლევა სრული საშუალება ამ მიზნით ფართოდ გავშალოთ ელექტროკომბინატების, განსაკუთრებით ენერგო-საირიგაციო კომბინატების მშენებლობის ქსელი მეორე ხუთწლედში ელდენის ფართოდ დანერგვის ბაზაზე ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ წარმოება, დაუკავშიროთ იგი ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას, შემოვიღოთ ელექტრონის მოტორი, გავატაროთ წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გავანთავისუფლოთ ფიზიკური შრომის მეტი რაოდენობა, გავანთავისუფლოთ ზედმეტი მუშა-ხელი და, წარმოებაში მუშა გადავაქციოთ შეგნებულ ხელმძღვანელად, წარმოების პროცესების ორგანიზატორად, მანქანის შეგნებულ მმართველად. ელექტროფიკაცია იძლევა საშუალებას ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებათა საფუძველზე მივაღწიოთ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებულ წინააღმდეგობის მოსპობას, დაუახლოვოთ ისინი ერთმანეთს. ელექტროფიკაცია იძლევა საშუალებას მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციას, გავაადვილოთ სოფლის მეურნეობის დარგში შრომის პროცესები და მოვახდინოთ ამ დარგის სრული რეკონსტრუქცია მძლავრი ენერგეტიული ბაზის საფუძველზე. ელექტროფიკაციის საშუალებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაშინიზაციის და ელექტროფიკაციის გზით, ჩვენ მივდივართ სოფლისა და ქალაქს შორის არსებულ საუკუნოებრივ წინააღმდეგობის დაძლევის და აღმოფხვრის გზაზე. უდიდესი როლი ენიჭება ელექტროფიკაციას რკ. გზ. ტრანსპორტის რეკონსტრუქციის დარგშიაც. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის უმთავრეს რგოლს წარმოადგენს რკინის გზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია". ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება შესაძლებელია კომუნალური მშენებლობის და ყოფა-ცხოვრების დარგშიაც. ყოფა-ცხოვრებაში ელდენის შეჭრა იწვევს მისი გარდაქმნის ტემპების დაჩქარებას, ახალი სოციალისტური ყოფითი ჩვევების განმტკიცებას და დანერგვას. ასეთი უდიდესი მნიშვნელობის გამო ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ელექტრომშენებლობის საკითხებს და ხანგრძლივად შევჩერდეთ ამ.-კავკ. რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის ელექტროდადგმულობათა განაწილების პრობლემებზე.

ამხ. ბ. ჩიჩინაძე

ამიერ-კავკასიის ენერგორესურსები

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ, გადავალ ჩემი მოხსენების ძირითად ნაწილზე ენერგორესურსების შესახებ. ამ.-კავკ. გააჩნია ენერგო-რესურსების და განსაკუთრებით ჰიდროენერგორესურსების უდიდესი მარაგი. საბჭოთა კავშირის ენერგორესურსების საერთო მარაგში ამიერ-კავკ. ენერგორესურსების ხვედრითი წონა შეადგენს 10 პროცენტს და იგი აღემატება საბჭოთა კავშირის დანარჩენი რაიონების ენერგო-რესურსებს. ამ.-კ-ში ჩვენ გვაქვს მრავალმხრივი სხვადასხვაობა რელიეფის, კლიმატიური ზონების სიჭრელე, მდინარეების მრავალფეროვანი რეჟიმი და დანარჩენი პირობები, რაც კიდევ უფრო ძვირფასს ხდიან ჩვენს ენერგეტიულ რესურსებს. ამ.-კავკ. ენერგო-რესურსების საერთო სიმძლავრე დაახლოებითი გამოანგარიშებით აღწევს 16,8 მილიონ ცხენის ძალას. ამ რაოდენობიდან საქართველოზე მოდის 10,6 მილიონი ცხენის ძალა, აზერბაიჯანზე—4,2 მილიონი ძალა და სომხეთზე 2 მილიონი ცხენის ძალა. საქართველოში არის 5 უმთავრესი ჰიდრო-ელექტროენერგიის რაიონი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის რაიონი, სადაც ჰიდრორესურსების საერთო სიმძლავრე აღწევს 1650 ათას ცხენის ძალას. დანარჩენ რაიონებიდან ჰიდროენერგორესურსების სიმძლავრე უდრის: აჭარისტანში—890 ათას ცხენის ძალას, დასავლეთ საქართველოში—4 მილ. ცხენის ძალას და აღმოსავლეთ საქართველოში—2,4 მილ. ცხენის ძალას. აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოს ჰიდროენერგეტიული რაიონი, სადაც თავს იყრის საქართველოს ჰიდროენერგორესურსების 40 პროცენტზე მეტი და, სადაც ელექტრო-მშენებლობის გაშლის თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს უდიდესი პერსპექტივები. აზერბეიჯანში ჰიდროენერგო-რესურსების ყველაზე მეტად საინტერესო რაიონებს წარმოადგენენ არაქსი, დასავლეთი აზერბეიჯანი, აღმოსავლეთი აზერბეიჯანი და სხვ. სომხეთში ასეთი რაიონებია: დასავლეთი სომხეთი, ზანგეზური და ჩრდ. სომხეთი. მეორე ხუთწლედის ძირითად პრობლემებს ელექტროფიკაციის დარგში წარმოადგენს მინგეჩაურის, სევანის, ტერტერის, რიონის, სამგორის და შირაქის ნავთიანი ადგილების ელექტრომშენებლობათა პრობლემები. გარდა ჰიდრორესურსებისა ამ.-კ.-ში ჩვენ გაგვაჩნია სხვა ენერგეტიული რესურსები—ქვანახშირის, ნავთის და ტორფის სახით. მეორე ხუთწლედში ჰიდრორესურსების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, განზრახულია ენერგორესურსების დანარჩენი სახეების გამოყენებაც.

მრეწველობა — ელექტროენერგიის უმთავრესი მომხმარებელია

მშენებლობის გაშლა და გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობის გადიდება მეორე ხუთწლედში გამომდინარეობს ენერგიაზე საერთოდ სახალხო მეურნეობის და კერძოდ მრეწველობის მოთხოვნილების გადიდებისაგან. ელექტროენერგიის უმთავრეს მომხმარებლად 1937 [illegible]ში იქნებიან: ნავთის მრეწველობა, მეტალურგიული ქარხნები, მანქანათმშენებლობა, ქიმიური კომბინატები და სოფლის მეურნეობა. 1937 წლისათვის ენერგიის მოხმარება გაიზრდება 7 ნახევარ მილიარდ კილოვატამდე. [illegible] საბჭოთა აზერბეიჯანს დასჭირდება 3.200 მილიონი კილოვატი საათი, სომხეთს—1685 და საქართველოს—2.570 მილ. კილოვატი საათი ამ უდიდესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტროენერგიაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ მოვახერხებთ ელექტრომშენებლობის ფართოდ გაშლას და ენერგორესურსების გამოყენების პრობლემებს მჭიდროდ დაუკავშირებთ წყლის საირიგაციო მიზნებით გამოყენების პრობლემებს. დღემდე ენერგო-საირიგაციო კომბინატების შექმნის საკითხს ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. მეორე ხუთწლედში ეს საკითხი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ელექტროენერგიაზე არსებულ მოთხოვნილებას, ელექტრომშენებლობის მაღალი ტემპებით გაშლის გზით, ჩვენ თითქმის დავფარავთ. უმთავრეს მომხმარებლებათ საქართველოში მეორე ხუთწლედში გამოვლენ თბილისის და ქუთაისის რაი-ნი, სადაც თავს იყრის მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები და მსხვილი საწარმოები. 1937 წლისათვის თბილისის რაიონის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე მიაღწევს 604 მილ. კილოვატ საათს. განზრახული გეგმა ითვალისწინებს ამ მოთხოვნილების თითქმის მთლიანად დაფარვას. ჯერ-ჯერობით დამუშავებულ მასალების საფუძველზე მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ჩვენ გვექნება რაიონული ელექტროცენტრალების ასეთი სურათი: ექსპლოატაციაში იქნება 20-მდე ელექტროცენტრალი 1.650 მილ. კილოვატის სიმძლავრით, რომელიც წელიწადში გამოიმუშავებს 9 ნახევარ—10 მ. კილოვატ საათს. ამავე დროისათვის იწარმოებს 16 ელექტროსადგურის მშენებლობა და გაფართოება, რომელთა სიძლიერე შეადგენს ერთ მილ. კილოვატ საათს. მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ამ.-კ.-ში ჩვენ მივაღწევთ ელექტრომშენებლობის ისეთი ტემპებით გაშლას, რომ მთლიანად დავფარავთ ელექტროენერგიაზე ჩვენი სახალხო მეურნეობის უმთავრესი დარგების მოთხოვნილებას. 1937 წელს ექსპლოატაციაში იქნება სომხეთის ჰიდროელსადგურებიდან ძორაჰესი—22 ათასი კილოვატი სიმძლავრით, ქანაქერჰესი—82 ათასი კილოვატის სიმძლავრით, გიუმუშჰესი 176 ათასი კილ. სიმძლავრით, გიუმუშჰესი—146 ათასი კილ. სიმძლავრით, და სხვ. საქართველოში 1937 წლისათვის იმუშავებენ შემდეგი უმთავრესი ჰიდროელსადგურები: ზაჰესი—37 ათასი კილ. სიმძლავრით, აწჰესი 18 ათასი კილ. სიმძლავრით, აწჰესი 16 ათასი კილ. სიმძლავრით, ტყვარჩელის თბოცენტრალი—72 ათასი კილ. სიმძლავრით, ხრამჰესი—140 ათასი კილ. სიმძლავრით და სხვ. სადგურები.

დავეუფლოთ ელექტრომშენებლობის ტეხნიკას

ელექტრომშენებლობის გაშლის ეს ბოლშევიკური პროგრამა მეორე ხუთწლედში მჭიდროდ უკავშირდება სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების განვითარებას. მსხვილ მანქანათმშენებლობის გაშლასთან ერთად, ელექტრომშენებლობის განვითარება, მეურნეობის და, განსაკუთრებით მრეწველობის ენერგოშეიარაღების კოეფიციენტის გადიდება, სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა, არსებული ელექტროსადგურების დადგმულობათა სიმძლავრის მაქსიმალური გადიდება და უდიდესი ენერგოსაირიგაციო კომბინატების პრობლემის გადაჭრა—ასეთია მეორე ხუთწლედში ამ.-კავკ. მდიდარი ენერგო-რესურსების გამოყენების და მათ საფუძველზე ელექტრომშენებლობის გაშლის საერთო პერსპექტივები.

ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების საფუძველზე. ახალი ტეხნიკის, განსაკუთრებით ელექტრომშენებლობის მოწინავე ტეხნიკის დაუფლების საფუძველზე.

გასაღებს მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში წარმოადგენს ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითება, რომელიც მჭიდროთ უნდა დავუკავშიროთ ჩვენი მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს, რომელიც უნდა გავატაროთ მუშაობის ყველა დარგში მჭიდროდ დავუკავშიროთ ახალი ტეხნიკის შესწავლის და დაუფლების საქმეს და პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე შევასრულოთ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების გეგმა, მეორე ხუთწლიანი გეგმა.

კონფერენციის დღიური

2 აპრილს, კონფერენციის დილის სხდომაზე თანამოხსენებით—ენერგო-რესურსების შესახებ გამოვიდა საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელი ამხ. სტებნიცკი. ამხ. სტებნიცკის თანამოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კამათში გამოვიდა: [illegible] (აზერბეიჯანი), მიქელაძე (საქართ. საგეგმო კომისია), იუშკინი (აფხაზეთის საგ. კომისია), ინჟ. ფლიდტი (საქ. საგ. კომისია), ინჟ. კაპელერი („ზაკგიდეპ"), ინჟ. მახტკოვი („ზაკგიდეპ"), ქიქოძე („ზაკგიდეპ"), ზოლოტარიოვი და კარბელაშვილი (საქ. საგ. კომისია), იმავე სხდომაზე, ვრცელი მოხსენებით ამიერ-კავკასიის ნავთის რესურსების და ნავთის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ გამოვიდა „აზნავთი"-ს მმართველი ამხ. მ. ბარინოვი. თანამოხსენებით იმავე საკითხზე გამოვიდა საქნავთის მმართველი ამხ. ულენტი.

კონფერენციის სალამოს სხდომა გაიხსნა ამხ. ივანიანის მოხსენებით—მრეწველობის ნედლეულის რესურსების და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამავე საკითხზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ხვედელიძის თანამოხსენება.

ამით დამთავრდა კონფერენციის 2 აპრილის სალამოს (მეოთხე) სხდომა.

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

ტყიბული, 1 აპრილი (საკ. კორ.) 31 მარტს ტყიბულის მაღაროებში ამოღებულია 680 ტონა ქვანახშირი, დღიური დავალების 85 პრ. მუშაობდა 910 მუშა, შრომის ნაყოფიერება თითო მუშაზე უდრიდა 801 კილოს. ნახშირის გასაზიდათ მაღაროებმა მოითხოვეს 23 ვაგონი, რკინის გზამ მიაწოდა 27 ვაგონი.

დგნორისის და კურსების თემებიდან ორდღიან შაბათობაზე ჩამოვიდა 146 კოლმეურნე. მუშათა მომარაგება უმჯობესდება. გაძლიერდა სამრეწველო საქონლის მოზიდვა. იხსნება ახალი სასადილო. 2 აპრილიდან მაღაროს მუშებისათვის ეწყობა დილით საუზმე და ჩაი.

ლ. ჯავახაძე



შეცდომის გასწორება

საბჭ. კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და საბჭოთა კავშირის მიწსახკომის დადგენილებაში მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების შესახებ (იხ. „კომუნისტი"-ს 2 აპრილის ნომერი) მუხ. 6-ის ლიტ. „გ"-დან მე-7 მუხლამდე გამოცემული ტექსტი შემდეგნაირად უნდა იქნას შეცვლილი:

„გ) საბჭოთა მეურნეობის საზღვრითი სიდიდე მეცხვარეობის გაერთიანებაში მდარე ხარისხის მატყლის მომცემი ცხვრების ხაზით: არა უმეტეს 50.000 ცხვრისა, ხოლო ჯიშიანი ცხვრების — არა უმეტეს 10,000 ცხვრისა, დ) საბჭოთა მეურნეობის საზღვრითი სიდიდე მეღორეობის გაერთიანების ხაზით: მომხმარებელი ზოლისათვის ბელორუსიის სსრ-ისა და ა.-კ. სფსრ-ისათვის — 400 დედა ღორი, უკრაინის სსრ-ისა და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქისათვის — 700 დედა ღორი, დანარჩენი რაიონებისათვის — 1.000 დედა ღორი. მეღორეობის ფერმების სიდიდე განისაზღვროს 100—150 დედა ღორით".

სამეცტექა, „კომუნისტი", „ზა რია ვოსტოკა" — ინჟენერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საბჭო 5 აპრილს განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 28) აწყობს

მასიურ ტეხნიკურ კონსულტაციათა
პირველ ციკლს

სამეურნეო მუშაკთა, ინჟენერ-ტეხნიკოსთა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების მსმენელთა და მუშებისათვის.

თემა: 1. ახალი საამშენებლო მასალები;
2. საამშენებლო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია და
3. საამშენებლო ეზოები.

კონსულტაციას იძლევიან სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტები: ა.-კ. ნაგებობათა ინსტ.—პროფ. ზავრიევი, შტაერმანი, ვ. ვ. მიხაილოვი, ლომიძე, დ. ქ. ზავრიევი და ეტიაშვილი.

საამშენებლო მასალათა საკავშირო ინსტ. მასლიკი, და ხიზანიშვილი ა.-კ. გეოლოგიური საკვლევაძიებო ინსტ.—ბარბუნოვი, მელქუმიანი.

კონსულტაციის ხელმძღვანელი პროფ. ქ. ს. ზავრიევი.

დასაწყისი სრულ 7 საათზე, შესვლა თავისუფალია.

ზაჰესის ამუშავების 5 წელი

ქალ. თბილისის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის საკითხი დასმული იყო ჯერ კიდევ 20—25 წლის წინად. ჯერ კიდევ 1904—05 წელს ინჟ. მეტცმა, რომელსაც დავალებული ქონდა ტრამვაის გაყვანის პროექტის დამუშავება, შეადგინა გეგმა თბილისში 1.600 ცხ. ძალიანი ელექტრო სადგურის აგების შესახებ, მაგრამ, როგორც ვიცით, მაშინდელ ქალაქის თვითმმართველობას ასეთი საკითხები არ აინტერესებდა.

ელექტრო სადგურების ფართოდ გაშლის საქმე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქნა სავსებით შესაძლებელი, თბილისის მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ და თბილისის თანდათან ინდუსტრიალურ ქალაქად გადაქცევამ დააყენა საკითხი თბილისისათვის ელექტროსადგურის აგების შესახებ. 1922 წელში ინჟ. ვაწაძემ შეადგინა პროექტი, რომლის მიხედვით თბილისში უნდა აგებულიყო თბოსადგური, ხოლო ამავე წლის 27 მაისს, ქალაქის აღმასკომის პლენუმმა საბოლოოდ დაადასტურა ელექტრო-სადგურის აგების აუცილებლობა და სპეციალური კომისია გამოყო ამ საქმეზე, რომელმაც შეადგინა საჭირო პროექტები. გადაწყდა თბილისიდან 15 კილომეტრის მანძილზე (ზემო-ავჭალაში) აგებული ყოფილიყო ჰიდრო-ელექტრო სადგური.

1922 წლის 10 სექტემბერს, მოეწყო თბილისის მუშების მასიური შაბათობა ზემო-ავჭალაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 4.000 კაცმა და დაიწყო მუშაობა ზემო ავჭალის სადგურის ასაგებად. საქართველოს მუშები და გლეხები უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ზაჰესის მშენებლობას. ხორციელდებოდა ლენინის მიერ საბჭოთა მერვე ყრილობაზე წამოყენებული ლოზუნგი: „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია". ყოველდღიურად იცვლებოდა ზემო-ავჭალის მიდამოების სახე და მუშათა უდიდესი ენტუზიაზმი პარტიის ხელმძღვანელობით აღწევდა ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობის დროს აღმოჩნდენ პანიკიორები, რომლებიც გაიძახოდენ: „ზაჰესს ვერ ავამუშავებთ და რომც ავამუშაოთ—მას ვერ დავტვირთავთ"-ო. ასეთი პანიკური განწყობილება სამუდამოდ დაამსხვრია პარტიამ და ზაჰესი ინჟინერ-ტეხნიკოსთა და მუშათა უდიდესი ენტუზიაზმის შედეგათ ამუშავებული იქნა 4 წელიწადში. ზაჰესის საბოლოო ღირებულება, მიწის ქვეშა ქსელით უდრიდა 15.736.224 მანეთს. 1927 წელს 3 აპრილს თბილისმა უკვე მიიღო ზაჰესის პირველი დენი. ამის შემდეგ ძალზე გაიზარდა მოთხოვნილება ელექტრო ენერგიაზე. ელექტრო ენერგიას მოითხოვდნენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, ტრამვაი და სხვა. ზაჰესის ენერგია საჭირო იყო: კოჯორის ელექტრო რკინის გზის გაყვანისათვის, დიდუბის ახალ მექანიკურ ქარხნისათვის, რკინის გზებისათვის, ნავთსადენისათვის და სხვა. ქალაქ თბილისის მიერ ელექტრო ენერგიის მოთხოვნილების ზრდას ნათელყოფს შემდეგი ცხრილი:

თბილისის „ტელასი"-ს მიერ აბონემენტებზე და დაწესებულებებზე გაცემული იყო:

1927-28 წ.—23.660.000 კილ. საათ. ენერ,
1929 წელში—38.852000 კილ. საათ. ენერ.
1930 წელში 41,493,000 კილ. საათ. ენერ.
1931 წელში 47,719,113 კილ. საათ. ენერ.
1932 წ.(გეგმით) 57400000 კილ. საათ. ენერ.

ეს ციფრები ნათლად ლაპარაკობენ იმაზედ, თუ რამდენ დიდათ იზრდება მოთხოვნილება ელექტრო ენერგიაზე, როგორი დატვირთვით მუშაობს ზაჰესი და ამით როგორ გაქარწყლდა პანიკიორების წინასწარმეტყველება ზაჰესის ვერ გამოყენების შესახებ. პარტიამ და ხელისუფლებამ გაითვალისწინეს ყველა ის მოთხოვნილებანი, რომელსაც უყენებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ზაჰესს, და მიზნად დაისახეს ზაჰესის მეორე რიგის სამუშაოების დაწყება, რაც დამატებით მოგვცემს 36.000 ცხენის ძალას. მეორე რიგის სამუშაოები ითვალისწინებენ 2 ტურბინის დადგმას და ქვესადგურის აგებას, რომელიც შეაერთებს რიონჰესის და ზაჰესის დენს. წინასწარი გეგმის მიხედვით ეს დაჯდება 6.406.956 მანეთი.

სამუშაოები დაწყებული იქნა 1930 წლის ივლისში. პირველ ხანებში სამუშაო ვერ იყო უზრუნველყოფილი საჭირო მასალებით, პროექტებით და ძალებით. განსაკუთრებული დაბრკოლება იყო ნედლი მასალის მიწოდების მხრივ. მაგალითად, 1931 წლის პირველ იანვრამდე სამუშაოსათვის საჭირო იყო: რკინა 758 ტონა, მიაწოდეს 2 ტონა მავთული საჭირო იყო 7,1 ტონა, სულ არ მიუწოდებიათ. ცემენტი საჭირო იყო 9030 კასრი, მიაწოდეს მხოლოდ 3 პროც.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორებისათვის საკითხი დროულად დაისვა უმაღლეს ორგანოებში და ამჟამად უკვე ზაჰესის მეორე რიგის სამუშაოები გამოცხადებულია დამკვრელ სამუშაოებად, რომელიც ითვალისწინებს ქვესადგურის დამთავრებას ამა წლის ივნისში და ტურბინების დადგმას სექტემბერში. სამუშაოებისათვის ნედლი მასალის მიწოდებას ამ ბოლო ხანებში ეტყობა ერთგვარი გარდატეხა.

ზაჰესის ამუშავების 5 წელი, რომელიც დღეს შესრულდა, გვეუბნება იმას, რომ ჩვენი პარტია მტკიცედ ატარებს ლენინის მითითებებს. მალე ზაჰესს გვერდში ამოუდგება სხვა ელექტრო-სადგურები, რომლებიც ენერგიას მიაწოდებენ არსებულ და მშენებლობის პროცესში მყოფ მრავალ ფაბრიკა—ქარხანას.,

გრ. მამალაძე.

ბინით სპეკულიაციას ბოლო უნდა მოეღოს

თბილისში ამ უკანასკნელად ბინების ყიდვა-გაყიდვამ ფართო ხასიათი მიიღო. ამას სხვათა შორის ადასტურებს ის ფაქტი, რომ რიყის ქუჩის № 70-ში მცხოვრებ მოქ. ვასილ გერიტიშვილი, რომელსაც საბინაო ამხანაგობის სამი ოთახი ეჭირა არ დაკმაყოფილდა ამ ბინით და ვაკეში საკუთარი ბინა აგო. თავისი ყოფილი ბინა 8 ათას მანეთად მიჰყიდა წითელ პარტიზანელთა კომიტეტს. ამ თანხიდან გერიტიშვილმა 5 ათასი მანეთი უკვე აიღო და 2 ოთახი დაუცალა წითელ პარტიზანელთა კომიტეტს.

აღნიშნული საკითხი თბილისის პროკურატურამ დაწვრილებით გამოარკვია. აღმოჩნდა, რომ წითელ პარტიზანელთა კომიტეტის გამგეობა, რომელიც აქტიურად უნდა იბრძოდეს ბინების ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, პირიქით, უშუალო მონაწილეობას ღებულობს ამ ბოროტმოქმედებაში და მოქ. გერიტიშვილი ბნელი კომბინაციების მოწყობის შესაძლებლობას აძლევს. პროკურორის განკარგულებით გერიტიშვილი დაპატიმრებულია, ხოლო წითელ-პარტიზანელთა კომიტეტის გამგეობა მიცემულია პასუხისგებაში.

ვ. მუმლაძე.

მეორე ხუთწლედის გეგმები

საბჭოთა კავშირის მთავრობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად, მეორე ხუთწლედის პირველი ვარიანტი წარდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს 1932 წლის 1 ივნისისა. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან შეფარდებით ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დააწესა გეგმის შედგენის კალენდარული ვადები.

ამიერ-კავკასიის და საკავშირო მნიშვნელობის უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც იმყოფებიან ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე, უნდა გაშალონ მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენის მუშაობა იმ ანგარიშით, რომ მისი პირველი ვარიანტი წარდგენილ იქნას ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სათანადო რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიებში და საკავშირო ცენტრებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა მეორე ხუთწლიანი გეგმის ნაკრები ვარიანტი უნდა წარადგინონ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს 10 მაისისა.

ა.-კ. ფედერაციის მთავრობა განიხილავს მეორე ხუთწლედის პირველ ვარიანტს იმ ანგარიშით, რომ 1 ივნისისათვის გეგმა წარდგენილ იქნეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

ხუთწლიანი გეგმის შედგენის საერთო ხელმძღვანელობისათვის ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შექმნილია ცენტრალური კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ფერუმოვი, ილიუშინი, გრიგორიანცი, ივანიანი, რუხაძე, ეჯიბაძე, ესაიანი, ვარძიელი. ხვანიძე, იაშვილი, სინიავი, ვეზიროვი; ბირიუშევი, ტაგიევი, ერემიანი, ღლონტი, შახსუვაროვი, ლაქტიონოვი, გოდლევსკი, ტოლსტოპიატოვი, ბარინოვი ავისი, ბუკრეევი, ალამალიანი და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს, ა. ლ. კ. კ-ის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, ა.-კ. შრომის სახკომის და ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების წარმომადგენლები (ადს).

რაიონული-რადიო-გაზეთების მონაწილეობა

გაზაფხულის თესვის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

თბილისში შედგა რაიონული რადიო-გაზეთების რედაქტორების და ცენტრალური რადიო-გაზეთების კორესპონდენტთა პირველი რესპუბლიკანური თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები რადიო-გაზეთების წინაშე მდგომი მორიგი ამოცანების შესახებ.

რადიო-გაზეთების მუშაობაში ერთ უმთავრეს სადღეისო ამოცანას წარმოადგენს გაზაფხულის სათეს.-სამ. კამპანიისათვის შესაფერი მომსახურეობის გაწევა. ამ საკითხზე მოხსენებით გამოსულმა ამხ. ა. მუჩნიამ განმარტა რაიონული რადიო-გაზეთების მუშაობის მნიშვნელობა მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარების საქმეში და აღნიშნა, თუ რა საკითხებს უნდა მიაქციოს ამ მხრივ ყურადღება რადიო-პრესამ.

ამხ. ძაბილაშვილის მოხსენებიდან რაიონული რადიო-გაზეთების მდგომარეობის შესახებ გამოირკვა, რომ მთელი რიგი რაიონული რადიო-გაზეთები ვერ დგანან თავის სიმაღლეზე. სიღნაღის გაზეთი „კოლმეურნე"—ერთი მეორედან ვერ არჩევს მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებს ზესტაფონის და სენაკის რადიო-გაზეთებს აკლიათ კონკრეტულობა და ოპერატიულობა. ქუთაისის გაზეთი არა სწორად აყენებს თესვასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ. ზესტაფონის გაზეთს 20 თებერვლიდან 17 მარტამდე ხმაც არ ამოუღია სათესლე ფონდების შექმნაზე და მან განგაში, (რომელმაც თითქმის უშედეგოთ ჩაიარა) ასტეხა მაშინ, როცა სათესლე ფონდების შეგროვების უკანასკნელ ვადამდე მხოლოდ სამი დღე დარჩა.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში, რომელსაც თათბირის ორი სხდომა დასჭირდა, მონაწილეობა მიიღეს—თელავის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ონის, სენაკის, ბორჯომის, სიღნაღის, დუშეთის, ხონის, ბათუმის კასპის, ზესტაფონის, ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობის, ყვარელის და ცენტრალური რადიო-გაზეთების რედაქტორებმა და კორესპონდენტებმა.

კამათში აღნიშნული იყო, რომ რადიო-გაზეთებმა დეფექტებთან ერთად უნდა გააშუქონ მიღწევებიც და მთავარი ყურადღება უნდა მიმართონ ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლისაკენ. რადიო-გაზეთებმა უნდა შესძლონ ფეხდაფეხ მიჰყვენ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ მთელ რიგ დაბა-ქალაქებში რადიო-დადგმულობები არ მუშაობენ. ამ მხრივ რაიონებში შექმნილია დაუშვებელი მდგომარეობა. უნდა იქნეს მიღებული ზომები რადიო-დადგმულობათა შესაკეთებლად, თორემ ისე აზრიც არ აქვს რადიო-გაზეთების გამოშვებას.

თათბირმა მისასალმებელი დეპეშები გადაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. მამია ორახელაშვილს, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას—ამხ. ლ. ბერიას, რადიო-გადაცემის საკავშირო კომიტეტს — ამხ ფ. კონს, გაზ. „კომუნისტი"-ს და „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციებს.



ავადმყოფების მისაღები დარბაზი ახლად აგებულ დისპანსერში

განათლების ფრონტზე

ბრძანება № 91
განათლების სახალხო კომისარიატის
1932 წ. 2 აპრილი

პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს ა.-წ. 11 აპრილიდან 18 აპრილამდე ჩათვლით.

შენიშვნა: 1). ეს განკარგულება არ ეხება იმ სკოლებს, რომლებმაც საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგები გაერთიანებულად ჩაატარეს ან სხვადასხვა მიზეზების გამო (ზამთარი, ავადმყოფობა და სხვა) შეწყვეტილი ჰქონდათ მეცადინეობა.

2) უმაღლეს სასწავლებლებზე, ტეხნიკუმებზე და საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეთა სკოლებზე საგაზაფხულო არდადეგები არ ვრცელდება.

განათლებისსახ. კომისარის მაგიერ
ილ. ფანცხავა.

ოფიციალური განყოფილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლების მიცემის შესახებ დაადოს გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება—საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილებების დამრღვევს).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დროებით, ვიდრე განსაკუთრებული დადგენილება გამოიცემოდეს, მიეცეს უფლება ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსს—დაადოს ადმინისტრატიული წესით გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევთ.

2. აღნიშნული გადასახდელის დადების წესი და აგრეთვე ამ გადასახდელის დადების შესახებ მიღებულ დადგენილებათა გადასინჯვისა და გასაჩივრების წესი განისაზღვრება ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით, რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 17-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 20 №-ი, მუხ. 207).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დრ. აღმასრ. **შაბანოვი**

1932 წ. მარტის 29.
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ა.-წ. 4 აპრილს, საღამოს 8 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ძერჟინსკის ქ. № 18) შესდგება რაიონის პარტუჯრედების კულტპროპორგანიზატორების თათბირი პარტწრეების ხელმძღვანელებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. ამხ. სტალინის 6 პირობა და უჯრედში კულტპროპმუშაობის ამოცანები (მომხსენებელი ამხ. ოსიპოვი).

2. მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მდგომარეობა (მომხსენებელი ამხ. დემეტრაძე).

3. რაიპარტკაბინეტის მუშაობის გეგმის შესახებ.

უჯრედების მდივნებს ევალება უზრუნველყონ ზემოაღნიშნულ ამხანაგების თავის დროზე გამოცხადება.

---

3 აპრილს, საღამოს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სამედიცინო სექციის მიერ მოწვეულია ექიმთა სამეცნიერო წრის—„ლენინიზმი მედიცინაში"-ს საორგანიზაციო სხდომა. წრის ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა. სხდომა შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21).

8 აპრილს, საღამოს სრულ 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში დანიშნულია კამათის გაგრძელება ამხ. ალ. გეგენავას მოხსენების ირგვლივ.

დღეს, საღამოს 7 საათზე, რკ. გზ. მე-8-ე შრ. სკ. (პლეხანოვის 136) შესდგება სტალინის რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის დახურული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახელმწ. ოპერა

3 აპრილს 10 აბ. 9 წ.
დამსახურ. არტისტის პიკარენკო-დამანსკის პირველი გამოსვლა
აიდა

4 აპრ. აბონ. გარეშე
პრემიერა
ქეთო და კოტე
ა. რ. წუწუნავას ახალი დადგმა.

5 აპრილს 8 აბ 9 წ.
კუზიანი კვიცი

ამ დღეებში ვახტანგ ჭაბუკიანის დადგმით „დონკიხოტი" ტ ვეჩესლოვას და ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით.

აბონემენტების მე-9 მორიგი შესატანის მიღება ყოველდღე 11—2 საათამდე და 6—8 საათამდე.

ვისაც გადახდილი არა აქვს მე 8 შესატანი ჰკარგავს წარმოდგენაზე დასწრების უფლებას. ნ. 594

რუსთავ. თეატ. ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით სეზონი 1931 32 წ.

3 აპრილი
აბონ გარეშე
თეთნულდ

4 აპრ. 8 აბ. 8 წ.
სალტე

მე-6 გადასახადი სავალდებულოა.
ნ. 596 დასაწყისი 8 საათზე. დირექცია.

სახ. დრამა სსს. სახ. არტ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

3 აპრილი აბ. გ.
მუნჯები ალაპარაკდენ
ბილ. გაყიდულია შეძენ. 1 აპრილის ბილეთ. ძალაშია

4 აპრილი აბ. გ.
მუნჯები ალაპარაკდენ
ძალაშია 2 აპრილ. შეძენილი ბილეთ.

5 აპრილი 15 აბ. 1 წარ.
მუნჯები ალაპარაკდენ

1-ლ აპრილს უნდა იყოს შემოტანილი მეორე გადასახადი აბონემენტის სერია №№ 11, 12, 13, 14 და 15.
ნ. 595

სახ. ცირკი დასაწყ. 8-15 წ.

სრულიად ახალი პროგრამა
კლოუ დოროტი
თავისი ლილიპუტებით მე-2 ციკლი
როლანდი და კოკო
ბუფონადის კლოუნები
ჯამბაზები კვარცხლბეკზე ე ს გ ე
ახალი სასპ. თამაში 5 იურანდი
მუსიკ სატირიკოსები ვიჟენი და ხიტროვი
ჟონგლიორები ცხენზე 3 პიუმასტი
ა. 597

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ. აპოლო)
სეან. 4, 6-30. 8-30, 10-30.
კინო დამკვრელი (ყოფ. პალასი)
სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.
კინო დარბაზი
სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.
დღის კინო **სპარტაკი**
სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო **სპარტაკი**
სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.
რ. ლიუქსემბურ. სახ. (ყოფ. მინიონი)
სეან. დას. 6-30, 8, 9-30, 11.

იგორ ილინსკი ხმოვან კომედიაში
მექანიკური გამცემი პრ. გ. 1905 წ.
ზოროს შვილი
დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით
მხატვრული სურათი
ჭ ო რ ი
მხატვრული სურათი
ქალი გაზრიდან
კონრად ვეიდტი სურათში
კაცი, რომელიც იცინის
მხატვრული კომედია
პუპკის სადგური

მ/კახეთის მემინდვრ-მესაქონლეობის რაიკავშირის სალიკვიდაციო კომისია

ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა—ხდება უკანასკნელის ლიკვიდაცია, ორგანიზაციებმა და პირებმა ყოველგვარი პრეტენზიები უნდა წარმოუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას ა/წ 15 აპრილამდე. რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

სალიკვიდაციო კომისია.
ნ. 592

საქვაჭრობა

იწყებს ტრიკოტაჟის გაცემას მიღებულ ავანსების ანგარიშში. ტრიკოტაჟის გაცემა იწარმოებს მე-48 მაღაზიიდან (პლეხანოვის ქ. № 183) ა/წ. 3 აპრილიდან 8 აპრილამდე დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ყოველ დღე.

საქონლის მისაღებად საჭიროა წარდგენილ იქნას ცნობა ავანსის შეტანის შესახებ და მინდობილობა საქონლის მისაღებად.
ნ. 600

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8
25—1

ექიმი
ქ. თ. რომიტაშვილი
თვალის სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათ. ვანო კალანდაძეს ქუჩა № 25. 2632

ექიმი
პირაშკოვი
ვლ. მაჩ.
გულის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამობით 6—7 ს. ფეოდოსიევის ქ. № 22. № 21-45. 25—18

ექიმი
ვ. დ. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ 13—1

სავალდებულო დადგენილება № 207.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმისა

1932 წლის მარტის 28

ქ. ტფილისის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ

1. გამოიყოს ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმთან ქალაქის დასუფთავებისა და ანტისანიტარული მდგომარეობის ლიკვიდაციის განსაკუთრებულ რწმუნებულად ტფილისის მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე, რომელსაც დაექვემდებაროს სანიტარული ნაწილის ყველა თანამდებობის პირი და ორგანიზაცია და მიენიჭოს უფლება ადმინისტრატიული წესით მისცეს პასუხისგებაში სანიტარიის წესების დამრღვევი ყველა პირი, დაწესებულება - საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელნი.

2. წინადადება მიეცეს მილიციის სანინსპექციას დააწესოს ქუჩებისა, მოედნებისა, ეზოებისა და საერთო სარგებლობის სხვა ადგილების თავის დროზე დასუფთავებისა და სუფთად დაცვის უწყვეტი და სასტიკი კონტროლი, აგრეთვე სასტიკად შეამოწმოს დასუფთავების ტრესტების მიერ მათი მოვალეობის ქუჩებში საფურთხეებლების მოწყობისა და სუფთად დაცვის—შესრულება.

3. წინადადება მიეცეს ტფილისის საბჭოს კომუნალურ მეურნეობას, ჯანმრთელობის განყოფილებას, მილიციის სანინსპექციასთან ერთად სამი დღის ვადაში განსაზღვროს ნაგავის გადასაყრელი ახალი ადგილები.

4. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის განყოფილებას — დაავალოს სანიტარულ-პროფილაქტიურ სექტორს, რომელიც თვალყურს ადევნებს ქალაქში სანიტარულ წესებისა და მოთხოვნილებების შესრულებას, მოაწყოს ქალაქის სისტემატიური შემოვლა და ამ წესებისა და მოთხოვნილებათა დარღვევის ყოველ შემთხვევაში შეადგინოს აქტი და წარმოუგზავნოს ტფილისის მილიციის სამმართველოს დამნაშავის ადმინისტრატიული წესით დასასჯელად.

5. დაევალოს ქალაქის დასუფთავების ტრესტებს გაადიდონ სასენიზაციო და ნაგავის გადასაზიდი საბარგული ისეთ რაოდენობამდე, რომელიც უზრუნველჰყოფს ქალაქის ნამდვილ და თავის დროზე დასუფთავებას უწმინდურობისა და ნაგვისაგან.

6. დაევალოს ტრამვაის დირექციას იქონიოს ხაზზე ქუჩების მოსარწყავი ყველა ცისტერნი.

7. წინადადება მიეცეს ქალაქის დასუფთავების ტრესტებს:

ა) აპრილის 1-ლიდან ოქტომბრის 1-მდე დაამთავრონ ხოლმე ქუჩების, შესახვევების, ტროტუარების, ეზოების, მოედნების და სხვ. დასუფთავება 6 საათზე, მუშათა უბნებში კი — 5 საათზე; ხოლო საღამოს დასუფთავება 18 ს.; ოქტომბრის 1-დან აპრილის 1-მდე კი 7 საათზე, მუშათა უბნებში 6 საათზე, აღნიშნული დროისათვის ქუჩები, შესახვევები, მოედნები, ტროტუარები და ეზოები დახვეტილ დასუფთავებული უნდა იქნენ, მოხვეტილი ნაგავი, მტვერი და ტალახი მეეზოვეებმა დაუყოვნებლივ უნდა ჩაყარონ ეზოს სანაგვე ყუთებში.

ბ) მშრალ ამინდში, მტვერების თავიდან ასაცილებლად, ქუჩები, შესახვევები, ტროტუარები და მოედნები: დასუფთავებამდე და დაგვამდე წინასწარ უნდა მოირწყას წყლით.

გ) აპრილის პირველიდან ოქტომბრის პირველამდე უნდა მოირწყას ქუჩის, შესახვევის, მოედნების მთელი სივრცე არა ნაკლებ სამჯერ დღეში იმ ვარაუდით, რომ პირველი მორწყვა ქუჩისა დამთავრდეს 7 საათისათვის, მეორე — 13 საათისათვის, ხოლო უკანასკნელი — 19 საათისათვის.

დ) სავაჭრო მოედნების მორწყვა ხდებოდეს ზემოაღნიშნულ საათებში საბაზრო კომიტეტების ხარჯზე.

შენიშვნა: მორწყვა ხდება იმგვარად, რომ მტვერი და ნაგავი ირეცხებოდეს და ქუჩაში მოძრაობის წესრიგი არ დაირღვეს გამვლელებისათვის წყლის შესხმით.

8. დაევალოს ქალაქის ყველა სააღმშენებლო ორგანიზაციის სააღმშენებლო ნაგვის გადასაზიდავად მოაწყოს შესაფერისი საბარგული.

9. დაევალოს „უტილნედლეულს" ნაგვის გადასაყრელ ადგილის დადგას სპეციალური ყუთები გადარჩეული უტილნედლეულის შესანახავად.

10. მიეცეს წინადადება ქალაქის დასუფთავების რაიონულ ტრესტებს ერთი თვის განმავლობაში დაამზადონ საჭირო რაოდენობით სანაგვე ყუთები, სახლმფლობელობათა მოსამარაგებლად.

11. დაევალოს სავაჭრო - სასაწყობო შენობათა ყველა მოიჯარეს ერთი დეკადის განმავლობაში მოიყვანოს ვიტრინები სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში და მომავალში დაიცვას მათი სისუფთავე.

12. ახალმშენებლობათა, ფაბრიკების, ქარხნების, საწყობების და მათთვის კუთვნილი ტერიტორიის, აგრეთვე სკოლების, სანიტარული მდგომარეობისა და მათი მომსახურეობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს აღნიშნულ საწარმოთა და დაწესებულებათა გამგეებს.

13. ყველა საიჯარო საბინაო ამხანაგობაში უკანასკნელთა გამგეობებმა უნდა გამოჰყონ სახლთმფლობელობის სანიტარული მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი პირი (საზოგადოებრივ - სანიტარული რწმუნებული) და მათი ინსტრუქტირება დაევალოს რაიონულ სანიტარულ ინსპექტორებს, ამ საქმეში სანიტარულ ჰიგიენური ინსტიტუტის ჩაბმით.

შენიშვნა 1: საზოგ. სანიტარული რწმუნებულის გვარი და მისი ბინის ნომერი გამოკიდული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

შენიშვნა 2: კერძო მფლობელთა სახლებში სახლთმფლობელობის სანიტარული მდგომარეობისათვის პასუხისმგებლად ითვლება სახლის მფლობელი.

14. ქალაქის სანიტარული მდგომარეობის შემდგომში უშუალო თვალყურის დევნება დაეკისროს მილიციის სანიტარულ ინსპექციას.

15. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ.

16. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით: 100 მანეთამდე, დაჯარიმებით ან და იძულებითი მუშაობით 30 დღემდე.

17. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულების თვალყურისდევნება დაეკისროს მ-გ. მილიციასა და რაიონულ კომუნალურ განყოფილებებს.

ტფ. საბჭოს თავმჯდომარე **მაჩაიძე.**
ტფ. საბჭოს მდივანი **ლომაძე.**
ნ. 575

მემინდვრეობა-მესაქონლეობის სიღნაღის რაიკავშირის

ლიკვიდაციის გამო

შემდგარია სალიკვიდაციო კომისია. დაწესებულება-ორგანიზაციებს და პირებს, რომლებსაც აქვთ რაიკავშირთან პრეტენზიები, უნდა მიმართონ კომისიას სიღნაღში 15 აპრილამდე. ამ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ გაიხილება.

რაიკავშირის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე **ჯავაშვილი.**
ნ. 589 მდივანი **ხიყმაშვილი.**

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთ. ჩ. გ.

მეტრიკული მოწმობ: გრიგოლ კიკვაძის, მუშკოოპის წიგნ.: გალაქტიონ ციხისელის, ხამბ. წიგნ: ლუკა გახარიასი № 984; სხვა და სხვა საბუთები: მონადირეთა კავშირის წიგნაკი № 4357 ნიკო პარკინაშვილის, ალისუბნის სას.-სამ. არტელ „პირველი მაისი"-ს სახელობის შტამპი, ვალდებულების ბლანკი ღირებული 160 მანეთის, გაცემული აბაშის შემნახველ სალაროს მიერ ალექსანდრე სანდროს-ძე კვირიკველიას სახელზე. 83

ამით ეცნობა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირთ,

რომ თანახმად საქ. სახკომსაბჭოს ა-წ. 14 მარტის დადგენილებისა „დამზადებათა აპარატის ორგანიზაციის თაობაზე და ქუთაისის ქალაქის საბჭ—ს ა.წ. 23 მარტის დადგენილებისა ამავე საკითხის შესახებ, იმ ორგანიზაციებს და პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები

ქუთრაიბაღბოსტანკავშირისადმი

წარმოუდგინონ ქუთ. რაიბაღბოსტანკავშირის სალიკვიდაციო კომისიას არა უგვიანეს 15 აპრილისა, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

ქუთაისი, მესამე ინტერნაციონალის ქ. № 42.

ქუთრაიბაღბოსტანკავშირის სალიკვიდაციო კომისია.
ნ. 591

თანახმად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა თბილისის საბჭოს მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. პეტრე დიმიტრის-ძე ფილინს შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის ფილინის ახალ გვარზედ სჩერბაკოვზე გამოცვლის შესახებ.

თბ. საბჭოს მმაჩის ბიუროს გამგე: კოვზირიძე.
2627

სახელმწიფო დრამა
ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
პ რ ე მ ი ე რ ა
გერცელ ბააზოვი
„მუნჯები ალაპარაკდენ"
დანიშნული 1 და 2
გადატანილია 3 და 4 აპრილისათვის
ბილეთები შეძენილი 1-ლს და მოსაწვევი ბარათები გამოდგება 3 აპრილისათვის, მხოლოდ 2 აპრილის—4-სათვის.
2—2 ნ 582 დირექცია.

თბილისის რკ. გზ. „ს. ა. ლ. კ. კ." სახელობის საქ საფ. სკოლა

იწყებს მოწაფეთა მიღებას საგაზაფხულო შეკრებაზე

გაიხსნება ორი ჯგუფი. ქართული სექტორი 1—ელექტრო მავალთა შეკეთების და 1—საფინანსო-საგეგმო.

მიიღებიან მოზარდნი ორივე სქესისა, 7-წლედ დამთავრებულნი, 15—17 წლამდე. განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი შემდეგი საბუთები: 1—მეტრიკული ამონაწერი, 2—7-წლედ დამთავრების მოწმობა, 3—ცნობა სოციალურ მდგომარეობის და ხმის უფლების შესახებ და 4—ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

მიღებული მოწაფეები სასურსათო წიგნაკებს მიიღებენ წარმოების მუშების თანაბრად და ჩაირიცხებიან კავშირის წევრად.

განცხადებების მიღება იწარმოებს სკოლის კანტორაში 1 აპრილიდან 10 აპრილამდე ა/წ.

მისამართი: 1905 წლის რევოლიუციის ქუჩა № 204. ნ. 593

პედინსტიტუტის დირექცია

აცხადებს, იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც დაამთავრეს ყოფ. თბ. სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი (1930 წლამდე) და შემოტანილი აქვთ სათანადო განცხადება და ფული დამთავრების მოწმობის მისაღებად, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ ეს მოწმობები ა. წ. 10 აპრილიდან.

ხოლო ვისაც განცხადებები და ფული არ შემოუტანია, ვალდებული არიან შემოიტანონ ასეთები პედინსტიტუტის სასწავლო ნაწილში ა წ. 20 აპრილამდე. განცხადებასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს დროებითი მოწმობა კურსის დამთავრების შესახებ და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

პროვინციაში მყოფ ამხანაგებს შეუძლიათ გამოგზავნონ აღნიშნული განცხადება და ფული ექვსი მანეთი ფოსტით (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1) პედინსტიტუტის სასწავლო ნაწილს.

ნ. 598 დირექცია.

თანახმად საქართველოს ს ს რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლ. მარტის 14-ის

დადგენილებისა

ხდება ს. ორჯონიკიძის სახ. რ. (ყოფ. ხარაგაულის)

„რაიბაღბოსტანკავშირის" ლიკვიდაცია

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა და წარმოებებმა, კოოპერატიულ ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, ვისაც კი აქვს რაიმე პრეტენზია ორჯონიკიძის რ. (ყოფ. ხარაგაულის) „რაიბაღბოსტანკავშირი"-სადმი ასეთი უნდა წარმოუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას 15 აპრილამდე შემდეგი მისამართით:

ორჯონიკიძის რ (ყოფ. ხარაგაულის) „რაიბაღბოსტანკავშირის" სალიკვიდაციო კომისიას. აღნიშნული ვადის შემდეგ შემოსული პრეტენზიები განხილული არ იქნება.

ნ. 590 ლიკვიდკომი.

ამ დღეებში ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ეკონომიკის ინსტიტუტში „მარქსისტ-ტეხნიკოსთა საკავშირო საზოგადოების" წევრი ამხ. ფლაკერმანი წაიკითხავს მოხსენებას.

მოხსენების თემა და დღე გამოცხადებული იქნება დამატებით. შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
ნ. 2632 რ. მელაძე.

დამწუხრებულნი მეუღლე ვასო, შვილები: ნინა და გრიშა, სიძე გრიშა პანტურია, რძალი შატულია იუწყებიან იშვიათი მოამაგის **ელპიტე ზევარის-ას. ქადეიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. ს. სანაპიროს ქ. № 9, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—2 2597

ირინე შვილებით და სიძეები: ყირიმი ზენაიშვილი და გიორგი ურუშაძე, კოლია და კირილე წილოსანები ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ **ელპიტე ზევარის ას. ქადეიშვილის** გარდაცვალებას. 2607

დამწუხრებული ელენე და ერასტი წულაძეები შვილებით: გრიგოლ და თამარ ქადეიშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავეთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი რძლის **ელპიტე ზევარის ას. ქადეიშვილის** გარდაცვალებას. 2607

გულმოკლულნი მშობლები პილაგი და შალვა, ძმა შოთა ჭყონიები იუწყებიან უძვირფასესი **თამარა ჭყონიას ასული გიგინეიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3 აპრილს 5 საათზე, თეატრის შეს. № 6, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3—3 2610

ღრმად დამწუხრებული ნადია. სამუილ ოთხმეზურიძე შვილებით, მარუსია. ქსენაფონტე მიქაუტაძეები, აკუნი და კაკო ნიჟარაძეები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი რძლის **თამარა ჭყონია-გიგინეიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 2609

ნიკოლოზ გიორგის ძე გიგინეიშვილი იუწყება საყვარელი მეუღლის—მეგობრის **თამარა ჭყონ. ას. გიგინეიშვილის** უდროოთ დაკარგვას დაკრძალვა 3 აპრილს 2-2 5 საათზე ვერის სასაფლაოზე. 2611

უახლოესი მეგობრები: დ. ალაპიშვილი, თ. ჯალაღანია, ან. კეჭაყმაძე ვ. აბაიშვილი, ა. ისესხი კ. გურული, ა. ჩხაიძე, დ. ძიძავა, ქ. ჯაფარიძე, ნ. ლეჟავა, გრ. ნიკოლაიშვილი, მ. მირიანაშვილი, ი. შანყულაშვილი, ვ. ზაქარიაშვილი და გ. კლდიისელი იუწყებიან კოლია ჯაფარიძის ძმის **ტიტიკო ისმაილის-ძე ჯაფარიძის** დაკარგვას. 2623

გორის რკ. გზის საფ. საქ. 7 წლედის პედაგოგიური პერსონალი და დამხმარე საბჭო უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის მასწავლებლის ქენია შატბერაშვილის დედის **მაგდან ალექსანდრეს-ას. შატბერაშვილის** უეცრად გარდაცვალებას. 2619

გომის რკ. გზის მოსამსახურენი—მახლობელი მეგობრები საშა შატბერაშვილისა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მისი ძვირფასი მეუღლის **მაგდან ალ.-ას. შატბერაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 2620

ნიკო ქურდევანიძე შვილებით: სულიკო და ქეთოთი იუწყებიან მათთვის ძვირფასი, პირველის ცოლისდის და მეორეთათვის დედის **მაგდალინა ალექსის ასული შატბერაშვილის** გარდაცვალებას. 2615

პედინსტიტუტის გეოლოგიური სექციის I კურსის სტუდენტები თანაგრძნობას ვუცხადებთ ამავე კურსის სტუდენტ ქეთო ჩხეიძეს მისი ძმის **აკაკი (ჩიტო) ჩხეიძის** უდროოთ გარდაცვალების გამო. 2608

ნიკოლოზ ლომსაძე მეუღლე ლუბათი და შვილით და დავით თარუკაშვილი მეუღლე ანტონინათი და შვილებით უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელ **თინა ლომსაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 601

დამწუხრებული ბიძოლა ოლღა ლომსაძისა შვილებით: ასკალონი ცოლშვილით, ანა, ვალენტინა, ნინო და ანტონინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ **თინა ლომსაძის** უდროოდ გარდაცვალებას ქ. ბორჯომში ნ. 601

გულდამწვარნი: მშობლები ნადია და ვანო, მეუღლე თამარა, დები: ვარია, მარგო ქმარშვილით იუწყებიან, რომ 4 აპრილს, საღამოს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ვახტანგ თოდუას** ხსოვნის აღსანიშნავად. 2629

გულდამწვარი შვილი ვერა, ქმარი გრიშა პატარა თენგიზით ლაკვეხელიანები შვილიშვილი ელენე ჯანელიძე იუწყებიან ძვირფასი დედიკო **ოლია კვატაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მექვენაში 2630

საქ. სარეწაო კავშირის მუშა მოსამსახურეთა ადგილკომი მწუხარებას გამოსთქვამს ადგილკომის წევრის დანიელ ფოფხაძის ცოლის **მარიამ ფოფხაძის** გარდაცვალების გამო. 2611

საქ. „სარეწაო კავშირი"-ს ორგ-მასიური სამმართველოს თანამშრომლები გამოსთქვამენ მწუხარებას ჩვენი კარგი მეგობრის ამხ. დანიელ ფოფხაძის ცოლის **მარიამ ფოფხაძის** გარდაცვალების გამო. 2612

ა. კ. გ. მ. ი. ი-ს მექ. ფაკ-ის მე-17 ჯგუფის სტუდენტები, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჯგუფის სტ. გ მელქაძის დის **მარო ფოფხაძე-მელქაძის ასულის** გარდაცვალების გამო. 2613

ტფილისის სატყეო ტეხნიკური ინსტიტუტის პროფკომი მწუხარებას გამოსთქვამს სატყეო ეკონომიურ განყოფილების მესამე კურსის სტუდენტ **გიორგი ლეჟავას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. მარანში 3 აპრილს 2617

დამწუხრებულნი შვილები: ვიქტორ, ბესარიონ, სევერიანი ქალიშვილები: ელენე, მატრონა, რძლები: შურა, მარუსია სიძეები იუწყებიან დაუვიწყარ დედის **მართა მარკოზის ას ლიპარტიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 აპრილს ს. კვათანაში (აბაშა). 2631

არტელი „კლარჯეთი"-ს გამგეობა კ. ცოტაძე, გ. შარიქაძე, ლ. ჯობავა, ა. კალოევი იუწყებიან ამავე არტელის გამგეობის წევრის ბესარიონ ლიპარტიანის დედის **მართა მარკოზის-ასული ლიპარტიანის** გარდაცვალებას. 2618

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მამა ალფესი, დედა ფუდუ, ძმა ანტუშა, და ლიუცია ორაგველიძეები, ქმარი ბარნაბ ცეცხლაძე იუწყებიან ძვირფასი **ნადია ალფესის ასული ორაგველიძე ცეცხლაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება გურიაში სოფ. ლიხაურში. 2628

ღრმად დამწუხრებული შვილი ექიმი დავით გენძეხაძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს საყვარელ დედის **ოლია ივანეს ასული გენძეხაძის** დაკარგვას. გამოსვენება 3 აპრილს, 4 საათზე, ჭავჭავაძის ქ. № 8. 2610

დამწუხრებული შვილი ტატიანა, სიძე გრიშა არველაძე შვილებით: ნაზიკო, რეზიკო და ზურიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელი დედის **ოლია ივანეს ასული გენძეხაძის** დაკარგვას. გამოსვენება 3 მარტს, 4 საათზე, ჭავჭავაძის ქ. № 8. 2610

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ივლიანე და მარო კიზირიები, დები თამარა და მარგო, სიძე ანტონ ჭოჭუა აუწყებენ ნათესავებს ინდტეხნიკუმის სტუდენტის **დავითი გუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 31 მარტს ფოთში. ნ. 599

მწუხარებაში მყოფნი ძმები: კოლია და ნიკო, დები: ელიკო, თამარა და სიძე დათიკო ანტბელაძე იუწყებიან დაუვიწყარ **ტიტიკოს** გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2626

საქკულტსაქონელის ჭიათურის წიგნის მაღაზიის თანამშრომლები: შალიკო კუპატაძე, მიშა ფალავანდიშვილი, გრიშა ბრეგვაძე, ანდრო აბესაძე გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ამავე მაღაზიის თანამშრომლის **თამარა ბრეგვაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 2630

ბოსლევის კომკავშირის საკოლმეურნეო უჯრედი მწუხარებით იუწყება, რომ 27 მარტს გარდაიცვალა მათი ორგანიზაციის წევრი **კოლია გიორგის-ძე მიქაბერიძე** დაკრძალვა მოხდება სოფ. ბოსლევში. 2630

დამწუხრებული შვილი ლიზა, სიძე აკაკი, შვილიშვილები: ოლია თინა და რაჟდენი წერეთლები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის საყვარელ **ანტიოფე ნემსაძე-ბუილლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა შორაპანში 5 აპრილს 4-ნახ. საათზე. 2624

ნატა, კოლია და თაფლო გველესიანები, ფედორო და ვარლამ ასათიანები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ **ანტიოფე ნემსაძე-ბუილლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა შორაპანში 5 აპრილს. 2625

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 1021